საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
1296

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
11 თებერვალი
1941 წ
№ 34 (6039)
ფასი 10 კაპ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოში უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულების — მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ.

დღეს, როცა ორდენოსანი საქართველოს მშრომელნი განსაკუთრებული ენტუზიაზმით ემზადებიან საქართველოს ხალხთა ისტორიაში მეტად ღირსშესანიშნავი თარიღის — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის აღსანიშნავად, ეს ამბავი სიხარულისა და მადლობის გრძნობით აღავსებს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, საბჭოთა მოწინავე მეცნიერების მოღვაწეებს.

თავიანთი გულწრფელი მადლობის პირველი აღფრთოვანებული სიტყვებით ისინი მიმართავენ დიდ სტალინს, ვისი მამობრივი მზრუნველობითაც ასე გაიფურჩქნა და აყვავდა ჩვენი ქვეყანა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ვისი მუდმივი ყურადღებითა და მხარდაჭერითაც ასე განვითარდა და ისტორიაში არნახულ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა მოწინავე მეცნიერებამ, „... რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით" (ი. სტალინი).

მზიურ საქართველოში სოციალისტური კულტურისა და მოწინავე მეცნიერების მრავალფეროვანი დარგების სწრაფად განვითარება შედეგია ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისა, იმ დახმარებისა და ხელისშეწყობისა, რასაც ასე უხვად იღებს ჩვენი კულტურა და მეცნიერება მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებისა და პირველ რიგში, დიდი რუსი ხალხის მეცნიერთა და სამეცნიერო დაწესებულებათაგან.

საქართველოში, რომელიც წინათ გათელილი იყო პირსისხლიანი მეფისა და მენშევიკ-სატრაპთა მიერ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების. შემდეგ სოციალიზმის მშენებლობის ძლევამოსილი გამარჯვების შედეგად ფართოდ გაიშალა უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების ქსელი, აღიზარდნენ და დაწინაურდნენ მეცნიერებათა ყველა დარგის ახალგაზრდა კადრები, რომელნიც ნაყოფიერად მუშაობენ სოციალისტური მშენებლობის მთელ რიგ აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტაზე.

განვლილი 20 წლის მანძილზე საქართველოში შეიქმნა და განვითარდა მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის ენათმეცნიერება, მათემატიკური მეცნიერება, ფიზიოლოგია და სხვ., რომელთა დასკვნებსა და მიღწევებს ანგარიშს უწევენ არა მარტო საბჭოთა კავშირში.

ამ უდიდესი მნიშვნელობის წარმატებებმა შესაძლებელი გახადეს საბჭოთა კავშირის თვალმარგალიტად ქცეულ საქართველოში ჩამოგვეყალიბებინა მსხვილი სამეცნიერო ცენტრი — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც გააერთიანებს ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს, ხელს შეუწყობს თეორიულ და დამხმარე მეცნიერებათა შემდგომ აღმავლობას, საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესწავლას, განვითარებასა და გამოყენებას.

დიდი და მეტად პასუხსაგები ამოცანები დგას ახლად დაარსებული მეცნიერებათა აკადემიის წინაშე. ეს ამოცანები გამომდინარეობენ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობის დადგენილებებიდან, ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღორძინების ღონისძიებებიდან. საქართველოს დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრენი მოითხოვენ ყოველმხრივ და საფუძვლიან შესწავლას, მზარდი საწარმოო ძალები — შემდგომ განვითარებას. ყოველივე ამისათვის ხელის შეწყობა უნდა იკისროს და წარმატებით გადასჭრას ჩვენმა მეცნიერებათა აკადემიამ კაცობრიობის კულტურულ, ტექნიკურ-ეკონომიურ მიღწევათა განვითარებითა და რაციონალურად გამოყენებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია სათავეში უნდა ჩაუდგეს ჩვენი მეცნიერების შემდგომ აღმავლობას, მეცნიერებათა მიღწევების პრაქტიკულად გამოყენებას, მაღალკვალიფიციურ მკვლევარ-მეცნიერთა კადრების მომზადებას, მეცნიერების ყველა დარგისათვის ისეთი კადრების გამოჭედვას, რომელთაც შეეძლებათ საბჭოთა მეცნიერება აიყვანონ დიადი სტალინური ეპოქის მოთხოვნათა დონემდე.

საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსება უდიდესი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობის მოვლენაა. ეს კიდევ ერთი ახალი, თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა მეცნიერებისა და კულტურის აყვავებაზე. საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსება, რაზედაც წინათ ოცნებაც შეუძლებელი იყო, შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი სამეცნიერო ძალები პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს, კიდევ უფრო გაამრავლებენ საბჭოთა მოწინავე მეცნიერების მიღწევებს და ამით ხელს შეუწყობენ ორდენოსანი საქართველოს შემდგომ გაფურჩქვნა-აყვავებას.

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კიშინიოვი, 8 თებერვალი (საკდესი). დღეს გაიხსნა მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესმა დეპუტატმა, ორგეევის სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. კოლესნიკმა. შესავალ სიტყვაში მან ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც მოლდავეთის მშრომელებმა მოიპოვეს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. სტალინის სახელის ხსენებისას დარბაზში იფეთქა მქუხარე ოვაციამ ხალხთა დიდი ბელადის პატივსაცემად.

სესიამ მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი სალოგორი, თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები დემიანოვი და ბრანკოვიანუ.

სესიამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

მინის ფერადი ქსოვილი

მინის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომლები ამხ. ჩერნიაკი, იოფე, ასლანოვა და სხვები დღემდე საცდელ სამქროში მინისაგან ამზადებდნენ მხოლოდ თეთრ და ვერცხლისებრ ნართსა და ქსოვილს. ლაბორატორიული ცდების შემდეგ ამ დღეებში გამომგონებლებმა შესძლეს ფერადი ნართის მიღება.

მინის ხარშვის მომენტში მას უმატებენ ძლიერი კონცენტრაციის მინერალურ საღებავ ნივთიერებას. შემდეგ ასეთი მინისაგან ჩვეულებრივი წესით მზადდება ლურჯი ფერის ძაფი და ნართი. მეცნიერი თანამშრომლები იმაზე მუშაობენ, რომ ბოჭკოვან მინას მისცენ სოსანი, მიხაკისფერი, ოქროსებრ-ყვითელი და მწვანე ფერი.

პროფესორმა ბოტვინკინმა შესძლო მზა ქსოვილის შეღებვა. ქსოვილს ღებავენ ბამბეულსავით სხვადასხვა საღებავი მინერალური ნივთიერებით. მიღებულია ვარდისფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი, ყვითელი და სხვა ფერი. (საკდესი).

ბისმარკის „აზრები და მოგონებანი"

გამოვიდა მეორე ტომი წიგნისა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერთერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის, გერმანიის იმპერიის დამაარსებლის ბისმარკის „აზრები და მოგონებანი" — მემუარები. გერმანულიდან რუსულ ენაზე თარგმანი შესრულებულია პროფესორ ერუსალიმსკის რედაქტორობით. დასაბეჭდად მზადდება მემუარების მესამე ტომი. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ნ. ი. პრონინი დანიშნა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ. (საკდესი).

ლიტვის კ. პ. (ბ) V ყრილობა

კაუნასი, 9 თებერვალი (საკდესი). მუშაობა დაამთავრა ლიტვის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) V ყრილობამ.

ამხ. სნეჩკუსის საანგარიშო მოხსენების გამო ყრილობამ ერთხმად სცნო ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

ლიტვის კომპარტიის მთავარ ამოცანად, ნათქვამია რეზოლუციაში, ყრილობა სთვლის 1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ბოლშევიკურად განხორციელებას, გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციას.

სოფლის მეურნეობის დარგში პირველი რიგის ამოცანად ყრილობამ წამოაყენა საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკური მომზადებისა და ჩატარების საკითხები.

არჩეულია ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი 47 წევრისა და 16 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია.

დამთავრდა ესტონეთის კ. პ (ბ) IV ყრილობა

ტალინი, 8 თებერვალი (საკდესი). დღეს ესტონეთის კომპარტიის IV ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სიარემ.

ყრილობამ ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

არჩეულია ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სხდომის დასასრულს გამოვიდა ამხ. ლაურისტინი, რომელმაც დელეგატებს მოუწოდა ადგილებს ფართოდ განუმარტონ ყრილობის გადაწყვეტილებანი, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ ბოლშევიკები საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო, ვისაც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მივყევართ.

გრიალებს ტაში, გაისმის შეძახილები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

დამთავრდა მოლდავეთის კ. პ. (ბ) პირველი ყრილობა

კიშინიოვი, 8 თებერვალი (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა მოლდავეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველმა ყრილობამ.

ყრილობამ მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

არჩეულია მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

ყრილობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმებანი ამხანაგ სტალინისადმი, მოლოტოვის, ვოროშილოვისა და ტიმოშენკოსადმი.

დაიწყო საბჭოთა კავშირის გმირისა და მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის სრულიად-საარმიო სათხილამურო კროსი

მოსკოვის სამხედრო ოლქი, 9 თებერვალი (საკდესი). წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტიკური მუშაკები — საბჭოთა კავშირის გმირისა და მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის სრულიად-საარმიო სათხილამურო კროსის მონაწილენი, საბრძოლო საჭურვლით, მხარზე თხილამურგადებული საზამთრო ბანაკის ფართო თოვლიან მინდორში ჩამწკრივდნენ.

მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარის სარდალმა, არმიის გენერალმა ტიულენევმა მეომრებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მიულოცა მთელი წითელი არმიის შესანიშნავი დღესასწაულის — ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის სათხილამურო კროსის დაწყება.

დილის სრულ 10 საათზე მოთხილამურეთა ჯგუფმა სტარტი დაიწყო. 20 კილომეტრ დისტანციაზე გარბენაში ყველას წინ უსწრებს და მქუხარე „ვაშას" გრიალში პირველი მოდის კურსანტი ევსეევი, რომელმაც ეს დისტანცია საბრძოლო საჭურვლითურთ 1 საათსა და 35 წუთში გაიარა. საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-მაიორმა ლელიუშენკომ მადლობა გამოუცხადა კურსანტს ჩინებული შედეგისათვის.

შეჯიბრების შემდეგ საზამთრო ბანაკში გაიმართა მოსკოვის თეატრების არტისტთა კონცერტი.

○

ზაბაიკალიის სამხედრო ოლქი, 9 თებერვალი (საკდესი). დილის სრულ 10 საათზე №-ის ნაწილის პირადი შემადგენლობა სტარტის მოედანზე მოვიდა.

პირველნი დაიძრნენ კაპიტან ჩერნიკოვის ქვედანაყოფნი. თერმომეტრი 44 გრადუსს უჩვენებს. მოთხილამურენი მოხერხებულად სძლევენ ბორცვებს, გორაკებსა და ხევებს. ყველაფერში მოსჩანს კარგი გაწვრთნა. 59 წუთის შემდეგ ფინიშთან პირველი მოდის მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი კონდრაშკინი. 10 კილომეტრი დისტანცია კროსის ყველა მონაწილემ ადვილად დასძლია.

დაღამებამდე გადიოდნენ ქვედანაყოფები. №-ის ნაწილში კროსში მონაწილეობა მიიღო ყველა მეომარმა და მეთაურმა.

○

მინსკი, 9 თებერვალი (საკდესი). საბჭოთა კავშირის გმირისა და მარშლის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის სრულიად-საარმიო სათხილამურო კროსის. პირველი დღე მინსკის მ. ი. კალინინის სახელობის ქვეითი ჯარის სასწავლებლის 20 წლისთავის დღესასწაულს დაემთხვა.

საერთო საცხოვრებლებიდან ოცეულებად ჩამწკრივებული მიდიან მინდორში კურსანტები, მეთაურები, პოლიტმუშაკები.

დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარის სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, სატანკო ჯარის გენერალ-პოლკოვნიკი პავლოვი წითელ ლენტსა სჭრის. გაისმის საბრძოლო მარშის ხმა და ლეიტენანტ რუბანოვის ოცეული პირველი იწყებს სტარტს 10 კილომეტრ დისტანციაზე.

ყოველი 5 წუთის შემდეგ იწყებენ სტარტს შემდეგი ოცეულები.

დაუსრულებელ მწკობრად მიდიან მოთხილამურენი მთაგორიან ადგილებში. 58 წუთზე ფინიშთან პირველი მოვიდა კურსანტი რუბინი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1941 წლის 10 თებერვლის სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების საკითხი.

სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე საქართველოში შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ფართო ქსელი და მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები.

გაითვალისწინა რა საქართველოში სამეცნიერო-საკვლევო საქმის შემდგომი განვითარების ინტერესები და რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის ერთ ხელმძღვანელ ცენტრად გაერთიანების საჭიროება, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გადასწყვიტა დააარსოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში გადაცემულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ყველა დაწესებულება, საქართველოს სსრ განსახკომის გამგებლობაში არსებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგებლობაში არსებული გეოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ლაბორატორია, აგრეთვე ყოფილი ფიზიკური ინსტიტუტის ლაბორატორია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობა 15 კაცით განსაზღვრა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობის შერჩევისა და დამტკიცების შემდეგი წესი:

ა) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემადგენლობას შეარჩევს მთავრობის სპეციალური კომისია, რომელიც თავის წინადადებებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

ბ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობის კანდიდატებს ასახელებენ სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნიერი მუშაკები და მათი ჯგუფები იმ მეცნიერთა შემადგენლობიდან, რომლებმაც მეცნიერება გაამდიდრეს პირველხარისხოვანი მეცნიერული მნიშვნელობის ნაშრომებით და რომლებიც ხელს უწყობენ სსრ კავშირის სოციალისტურ მშენებლობას;

გ) სამეცნიერო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნიერი მუშაკები და მათი ჯგუფები ასახელებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატებს და სათანადო მასალებს უდგენენ მთავრობის კომისიას 1941 წლის 20 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატების შესახებ სამეცნიერო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული მეცნიერი მუშაკებისა და მათი ჯგუფების მიერ წარმოდგენილი მასალების განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. ი. კიკნაძე. წევრები: ამხ. ი. უ. თავაძე, დ. ს. ყიფშიძე (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი, პროფესორი ს. ნ. ჯანაშია და პროფესორი გ. ს. ახვლედიანი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურა და წესდება.

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ XVIII პარტკონფერენციას

ნავთის მრეწველობის მუშაკები ვალდებულებას ასრულებენ

მირზაანი, (საქდესი). ჭაბურღილის უფროსმა ამხ. კოჩიევმა შეასრულა XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. მან ვადაზე 5 დღით ადრე დაამთავრა № 159 ჭაბურღილის გათხრა. ჭაბურღილი დღე-ღამეში 6 ტონა ნავთს იძლევა.

XVIII სრულიად - საკავშირო პარტიული კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ვადამდე ასრულებენ აგრეთვე პატარა-შირაქის ნავთის მრეწველობის მუშაკები.

ბურღვის გეგმა იანვარში შესრულებულია 193,5 პროცენტით.

პატარა-შირაქის ნავთსაძიებლის უფროსი **ჯანბერიძე**

ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ბორჯომი (საქ. კორ.). რაიონის საწარმოებში ფართოდ გაიშალა საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

რკინიგზის ბორჯომის კვანძის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას / კონფერენციის გახსნის დღისათვის იანვარ-თებერვალ-მარტის თვეების საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ. აწევითი შეკეთების საამქრო, რომელსაც სტახანოველი ნ. გოგოლაძე ხელმძღვანელობს, 15 თებერვლამდე შეკეთებიდან გამოუშვებს ერთ ორთქლმავალს. მთელი საამქრო დაუცხრომლად მუშაობს ამ საქმეზე. ამ საამქროს ზეინკალი, სტახანოველი ონისიმე მაისურაძე ყოველდღიურად დავალებას 180-200 პროცენტით ასრულებს. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე მეორთქლმავლეები: ს. პისარა, გრ. გურასაშვილი, გ. ქურდაძე, ალ. ლონიძე და სხვ., რომლებიც ორთქლმავალთა გარბენის გეგმებს 160-180 პროცენტით ასრულებენ, ეწევიან საწვავი მასალის ეკონომიას, მუშაობენ უმარცხოდ, უავარიოდ.

ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ აგრეთვე საქავტოტრანსის ბორჯომის განყოფილების სტახანოველები. სტახანოველი შოფერები გიორგი ხაჩიძე, ნ. მ. გელაშვილი, ს. მ. გელაშვილი, ბ. ტატანაშვილი, ზ. ლურსმანაშვილი, ა. ხარაზოვი და სხვ. გარბენის ყოველდღიურ ნორმებს 124-130 პროცენტით ასრულებენ და ეწევიან საწვავი მასალის ეკონომიას. ბორჯომ-აბასთუმანს შორის თითო რეისზე ისინი 7-8 კილოგრამი ბენზინის ეკონომიას იძლევიან. საქავტოტრანსის ბორჯომის განყოფილებამ 20 იანვრისათვის გადაჭარბებით შეასრულა იანვრის საწარმოო დავალება.

წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს აგრეთვე მინერალური წყლის ჩამომსხმელ ქარხანაში, საავეჯო ფაბრიკასა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში.

პირველი წარმატება

კასპი, (საქდესი). სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანამ XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში პირველ წარმატებას მიაღწია. ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა იანვარში ცემენტის გამოშვების გეგმა შეასრულა 118 პროც., გამოწვის — 101,6 პროც., დაფქვისა — 118,4 პროც.

თებერვლის პირველ ხუთდღიურში ცემენტის გამოშვების გეგმა შესრულებულია 120 პროც. კარიერში (უფროსი ამხ. მაჩაბელი) კირქვის გამოღების იანვრის გეგმა შესრულდა 102,7 პროც., ხოლო თებერვლის პირველი ხუთდღიურისა — 118 პროც.

აბაშის მტს-ი მზადაა საგაზაფხულო თესვისათვის

აბაშა („კომუნისტის" კორ.). აბაშის მტს-მა (დირექტორი ბ. ბაკურია) ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა საშემოდგომო - საზამთრო რემონტი, შეაკეთა 16 ტრაქტორი და 16 გუთანი.

რემონტის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ბრიგადირებმა ს. კაჭარავამ და შ. ბოკუჩავამ, აგრეთვე ტრაქტორისტებმა: რ. ბოკერიამ, კ. შუბლაძემ, ს. თედორაძემ, ვ. შენგელიამ, ს. ბოკუჩავამ, გ. გუგეშვილმა და სხვ. მათ უკვე შეასრულეს XVIII პარტკონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებანი.

მტს-ი მზად არის საგაზაფხულო ხვნა-თესვის დაწყებისათვის.

გეგეჭკორის მტს-ის წარმატება

გეგეჭკორის მტს-მა დაამთავრა ტრაქტორების საზამთრო რემონტი. შეკეთებულია 10 ტრაქტორი. მტს-ში ფართოდ გაიშალა XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოცშეჯიბრება. მტს-ს სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ცხაკაიას, წულუკიძის მტს-ები.

აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში საუკეთესო მუშაობით თავი ისახელეს პირველი (ბრიგადირი — კომუნისტი ხელაია), მეორე (ა. ჩიჩაგუა) და მესამე (ხელაია) ბრიგადებმა, აგრეთვე ტრაქტორისტებმა: ფანცულაიამ, ნაჟომიამ და სხვ. მათ ტრაქტორების შეკეთების გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს.

გეგეჭკორის მტს-მა ოჩამჩირის მტს-ში გაგზავნა ერთი სატრაქტორო ბრიგადა ტრაქტორების რემონტის საქმეში დასახმარებლად. ამ ბრიგადამ კაპიტალურად უკვე შეაკეთა 1 ტრაქტორი.

ვ. მიქაძე
გეგეჭკორის მტს-ის დირექტორი.

სათხილამურო კროსის მონაწილე 120 ათასი კოლმეურნე

არასრული ცნობით, 1 თებერვლისათვის მარტო 24 ოლქსა და რესპუბლიკაში კროსის სტარტზე გამოვიდა 120 ათასზე მეტი კოლმეურნე. მათ კომპლექსის სათხილამურო ნორმები დაახლოებით 70 ათასმა სოფლელმა ფიზკულტურელმა ჩააბარა.

წარმატებით ჩაიარა შეჯიბრებამ ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, მოსკოვის, კიროვისა და სხვ. ოლქებში. (საკდესი).

სამკურნალო დახმარება ბავშვებს

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმეს წარმოადგენს. 4 ნახევარი წლის განმავლობაში იმ დროიდან, რაც გამოქვეყნდა კანონი აბორტების აკრძალვისა და მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდების შესახებ, ფართოდ გაიშალა სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და სხვ. მშენებლობა. მარტო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ აშენებულია 2.760 ბაგა — 64 ათასზე მეტი ადგილითურთ. უკრაინასა და უზბეკეთში ბაგების ქსელი ერთიორად და კიდევ მეტად, ყაზახეთში — ერთი-სამად და კიდევ უფრო მეტად გადიდდა. ჩვენს ქვეყანაში გახსნილია 16.320 საწოლიანი 1.165 სამშობიარო სახლი, რძის პროდუქტების 363 სამზარეულო.

მიმდინარე წელს ქალაქის ბაგებში ადგილების რიცხვი უნდა გადიდდეს 33 ათასით, მუდმივ სასოფლო ბაგებში — 65 ათასით. განზრახულია ქალთა და ბავშვთა 530-ზე მეტი კონსულტაციის დამატებით გახსნა. ექიმმა გამოუწვევლად უნდა გასინჯოს თვითეული ბავშვი მისი ცხოვრების პირველ თვეს. ორჯერ მაინც უნდა ინახულოს ბავშვი პატრონაჟის დამ. ამჟამად არის ბავშვთა 6.262 პოლიკლინიკა, კიდევ გაიხსნება 387 პოლიკლინიკა.

ეს ცნობები მოიყვანა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. კაზანცევამ ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების რესპუბლიკურ სამმართველოთა უფროსების თათბირზე. საბავშვო დაწესებულებათა მუშაკებმა თათბირის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება და შეიტანეს წინადადებანი ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაუმჯობესებისათვის. (საკდესი).

16.300 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საგნები

საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოები წელს გამოუშვებენ 16.300 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საგნებს. 26 კომუნარის სახელობის ქარხანა მოგვცემს 200 ათასზე მეტ სუფრის, დესერტის და ჩაის კოვზს; საკრავების ფაბრიკა — 2.000 საკონცერტო როიალს და 1.000 საბავშვო როიალს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა — 10.000 ნავთქურა „ბეატრიჩეს", სასკოლო და საკანცელარიო ნივთების ფაბრიკა — 9 მილიონ რვეულს. ქიმკომბინატი გამოუშვებს 50 ტონა სახამებელს და 2. 785 კვადრატულ მეტრ სარკეს.

ლითონდამმუშავებელი ქარხნები დიდი რაოდენობით გამოუშვებენ ღუმელებს, ჰაერღუმელებს, ფოლადის ძალაყინს, საურმე თვლებს, რკინის ნიჩბებს, საოჯახო ჯამებს. კალინინის სახელობის ქარხანა გამოუშვებს 200 ტონა ლურსმანს, 2.000 ღუმელს და სხვ. მნიშვნელოვნად ფართოვდება ბათუმის მომთუთიავებელი ქარხნის წარმოების გეგმა; ქარხანა გამოუშვებს ვედროებს, ტაშტებს და სხვ.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზედაც მიიღეს გადაწყვეტილება — ძირითადი გეგმის გადამეტებით გამოუშვან კიდევ 1.200 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საგნები. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 9 თებერვალს დღისით მოწინააღმდეგის ავიაცია ერთგვარ აქტივობას იჩენდა ინგლისში, უმთავრესად ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად, მაგრამ ყუმბარები არ ყოფილა ჩამოყრილი.

9 თებერვალს ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს აღმოსავლეთ ინგლისის, ესექსის საგრაფოს, შიდა საგრაფოების და დასავლეთ შოტლანდიის სხვადასხვა პუნქტში. მატერიალური ზარალი და მსხვერპლი უმნიშვნელოა.

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 10 თებერვალი (საკდესი). გერმანიის სარდლობა იუწყება: 9 თებერვალს გერმანიის შორის მოქმედების ყუმბარმშვენებმა იერიში მიიტანეს ინგლისის გემების ქარავანზე, რომელიც პორტუგალიის დასავლეთით იმყოფებოდა 500-მდე კილომეტრის მანძილზე. ქარავანი კარგად იყო დაცული. ჩაძირულ იქნა 24.500 ტონა საერთო წყალწყვის რამდენიმე სავაჭრო გემი. შეიარაღებულმა მზვერავმა თვითმფრინავებმა ისლანდიას მიაღწიეს და ტყვიამფრქვევები დაუშინეს ინგლისელთა მიერ ოკუპირებულ კუნძულზე არსებულ აეროდრომს.

9 თებერვალს ღამით გერმანიის ყუმბარმშვენების მოქმედება მიმართული იყო ლონდონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის სამხედრო მხრივ მნიშვნელოვანი ობიექტების წინააღმდეგ.

9 თებერვალს დღეს ინგლისის თვითმფრინავებმა ჩრდილოეთ - დასავლეთ გერმანიაში ორ ადგილას ჩამოჰყარეს ყუმბარები. დაზიანდა მხოლოდ ერთი გლეხის სახლი. გუშინდელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ ორი თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

საომარი მოქმედება ალბანეთში

ათენი, 10 თებერვალი (საკდესი). საბერძნეთის სარდლობა იუწყება, რომ გუშინ ფრონტზე მზვერავი რაზმებისა და არტილერიის უმნიშვნელო მოქმედება იყო. ჩამოგდებულია მტრის 8 თვითმფრინავი. საბერძნეთის ყველა თვითმფრინავი ბაზებში დაბრუნდა.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო გადმოგვცემს, რომ გუშინ, დღის განმავლობაში მტრის ავიაცია თავს დაესხა ბევრ პუნქტს. სალონიკში ყუმბარებით მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი და გამოწვეულია მცირეოდენი ნგრევა. იანინაზე თავდასხმის დროს მოკლულია 20 კაცი და დანგრეულია რამდენიმე სახლი.

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ალბანეთის ნავსადგურებში — ვალონასა დურაცოსა და სან-ჯოვანი დი მედუაში კვლავ ჩადიან იტალიის მაშველი ძალები. ფიქრობენ, რომ ამჟამად ალბანეთში იტალიის ჯარის რაოდენობა 300 ათას კაცს აღემატება. უცხოელი სამხედრო მეთვალყურენი აცხადებენ, რომ ბერძნებს თვითეულ ბატალიონში მხოლოდ 8 ტყვიამფრქვევი აქვთ. ინგლისელებს საბერძნეთში დიდძალი საომარი მასალა ჩააქვთ. ინგლისის თვითმფრინავების 8 ესკადრილია, რომელიც ამჟამად საბერძნეთში იმყოფება, თავის შემადგენლობაში ყველა ტიპის თანამედროვე თვითმფრინავს შეიცავს. ბერძნები სამედიცინო დახმარების მხრივ ნაკლებობას განიცდიან. არის ტიფით დაავადების შემთხვევები.

პროტესტი „დეილი უორკერის" აკრძალვის წინააღმდეგ

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთერთი კოლეჯის დირექტორმა და უნივერსიტეტის სხვა მასწავლებლებმა შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრ მორისონს გაუგზავნეს საპროტესტო რეზოლუცია გაზეთ „დეილი უორკერის" აკრძალვის წინააღმდეგ.

იჯარით ან სესხად იარაღის გადაცემის კანონპროექტის მიღება

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 260 ხმის უმრავლესობით 65-ის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი სესხად ან იჯარით იარაღის გადაცემის შესახებ

ჩხრეკა და დაპატიმრება ბუქარესტში

ბუქარესტი, 9 თებერვალი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ყოველდღიური ჩხრეკის შედეგად, რაც იმ მიზნით სწარმოებს, რომ აღმოაჩინონ ბუქარესტში ამას წინათ მომხდარი ამბების მონაწილე ლეგიონერები, დააპატიმრეს 3.112 კაცი, პროვინციაში — 3.862 კაცი. დაპატიმრებულთა შორის არის ეკონომიკის სამინისტროს ყოფილი სუბმდივანი.

6 თებერვალს ბუქარესტში სამხედრო სასამართლომ 7 მეამბოხე ლეგიონერს მიუსაჯა საკატორღო მუშაობა 5-დან 20 წლამდე თვითეულს. 35 კაცს მიესაჯა პატიმრობა 5 წლამდე.

რუმინეთის ყოფილი პრეფექტის გაქცევა ბულგარეთს

ბერლინი, 9 თებერვალი (საკდესი). ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება, რომ სოფიას ჩავიდა ჩრდილოეთ დობრუჯის ქალაქ ტულჩის ყოფილი რუმინელი პრეფექტი პრედესკუ და მისი კანცელარიის ყოფილი უფროსი. მათ, როგორც ლეგიონერებმა, მონაწილეობა მიიღეს გენერალ ანტონესკუს წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში და გაიქცნენ ჯერ კონსტანცაში, საიდანაც, ქარიშხლის მიუხედავად, ნავით ვარნას მიაღწიეს. ლტოლვილნი ბულგარეთის ხელისუფალთ დაპირდნენ, რომ ბულგარეთში ყოფნის დროს თავს შეიკავებენ პოლიტიკური მოღვაწეობისაგან.

უილკის დაბრუნება ნიუ-იორკს

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს ინგლისიდან ნიუ-იორკს თვითმფრინავით დაბრუნდა უილკი.

გარდამავალი დროშა მოწინავე კედლის გაზეთს

(სამტრედია, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, გასული წლის აპრილში სამტრედიის რაიონული გაზეთის მუშაკებმა, კედლის გაზეთების რედაქტორებმა და მუშსოფლკორებმა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღესთან—5 მაისთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის მოწოდებით მიმართეს საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ძირეული პრესის მუშაკებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

სამტრედიის რაიონულმა გაზეთმა, რომელმაც იკისრა მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი, საკედლისგაზეთო მუშაობის უკეთ დაყენებისათვის დააწესა გაზეთ „კომუნისტის" სახელობის გარდამავალი დროშა.

ამ დღეებში სამტრედიაში ჩატარდა კედლის გაზეთების რედაქტორთა, სარედაქციო კოლეგიების წევრთა და მუშსოფლკორთა სარაიონო შეკრება, რომელსაც 200-მდე კაცი დაესწრო. შეკრებამ მოისმინა რაიონული გაზეთის „სოციალისტური შეტევას" რედაქტორის ამხ. გ. სიხარულიძის მოხსენება კედლის გაზეთებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

გამოირკვა, რომ, თუ აღნიშნული მიმართვის მიღებამდე სამტრედიის რაიონში არ გამოდიოდა არცერთი ყოველდღიური კედლის გაზეთი, ახლა რაიონში 6 ყოველდღიური კედლის გაზეთია. გარდა ამისა, რაიონში არის 3 ხუთდღიური, 15 ათდღიური და 60-მდე ორკვირეული კედლის გაზეთი.

მთელმა რიგმა კედლის გაზეთებმა თვალსაჩინოდ გარდაჰქმნეს თავიანთი მუშაობა და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს კედლის გაზეთმა „ჩვენმა დეპომ" (რედაქტორი ა. თევზაძე) თავის ყოველდღიურ მუშაობაში ჩააბა 100-მდე კორესპონდენტი. გაზეთი კარგად აშუქებს პარტიულ-პოლიტიკურ საკითხებს. იგი ენერგიულად იბრძვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გასული წლის 26 ივნისის, 10 ივლისისა და 10 აგვისტოს ბრძანებულებათა ურყევად განხორციელებისათვის, საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და სხვ.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოფ. დაბლა-გომის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთმა „შეძლებული ცხოვრებისაკენ" (რედაქტორი ტ. გოგიშვილი). აღნიშნული გაზეთი თვეში ხუთჯერ გამოდის. თავის ირგვლივ მჭიდროდ დარაზმული ჰყავს 70 მოწინავე კორესპონდენტი და თავის ფურცლებზე ფართოდ აშუქებს მოწინავეთა გამოცდილებას, ეხმარება თავის კოლმეურნეობას, თვითეულ ბრიგადას, რგოლს, ცალკეულ კოლმეურნეს მიაღწიონ ახალ წარმატებებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. აღნიშნული კედლის გაზეთი შეტანილია 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატთა სიაში.

სარაიონო შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი კონკრეტული ვალდებულებები აიღეს: ა. თევზაძემ, ტ. გოგიშვილმა, გრ. ლორიამ, ჩაჩუამ და სხვ.

რაიონულ გაზეთ „სოციალისტური შეტევას" მიერ დაწესებული გაზეთ „კომუნისტის" 20 წლისთავის სახელობის გარდამავალი დროშა გადაეცა რაიონის მოწინავე კედლის გაზეთს „ჩვენი დეპოს", ხოლო ამ გაზეთის რედაქტორი ამხ. თევზაძე დაჯილდოებულ იქნა. ჯილდო მიეცა აგრეთვე დაბლა-გომის საკოლმეურნეო კედლის გაზეთის რედაქტორს ამხ. გოგიშვილს, ამავე კოლმეურნეობის კედლის გაზეთ „შეძლებულ ცხოვრებისაკენს" კი—ფოტოაპარატი.

ჩვენ გვწერენ

ჩვენი წინადადება

საქართველოს ცხვრის დიდი ნაწილი ზამთარს ყიზლარის საძოვრებზე ატარებს. აღნიშნულ საძოვრებზე ცხვარი გადაჰყავთ საქართველოს სამხედრო გზით. გარდა ამისა, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების მცხოვრებთ სურსათ-სანოვაგის და სხვ. შესაძენად სამხედრო გზით ხშირად უხდებათ მიმოსვლა ქ. ორჯონიკიძეში.

ეს მგზავრობა ზოგჯერ დიდ ყინვაში, ქარსა და თოვლში 80-300 კილომეტრზე 8-10 დღეს გრძელდება. ამავე დროს არსად როგორც გზაზე, ისე ქ. ორჯონიკიძეში, არ არის მოწყობილი შესაფერი თავშესაფარი, რის გამო ადამიანს თავისი ბარგით პირუტყვთან ერთად, ქუჩაში და მინდორში ღია ცისქვეშ უხდება ღამის გათევა. ყოველივე ამას ხშირად მოსდევს დაავადება, პირუტყვის, სურსათ-სანოვაგისა და სხვ. დაკარგვა-დაზიანება.

ამიტომ კოლმეურნენი აყენებენ წინადადებას: სოფ. ფასანაურში, კობში, ყაზბეგსა და პირველ ყოვლისა ორჯონიკიძეში მოეწყოს შესაფერი თავშესაფარი, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც ადამიანის, ისე პირუტყვის დაბინავება მგზავრობის დროს. ცხადია, ამ საქმეში მათ შესაფერი დახმარება უნდა აღმოუჩინონ როგორც ყაზბეგისა და დუშეთის, ისე ქ. ორჯონიკიძის პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა.

კოლმეურნეობები არაფერს არ დაზოგავენ იმისათვის, რომ შრომის ფერგანული მეთოდის გამოყენებით ეს საერთო სასარგებლო საქმე დაჩქარებით იქნას მოგვარებული. საჭიროა ახლავე შევუდგეთ კოლმეურნეთა ამ წინადადების განხორციელებას.

სანდრო დავითაშვილი

ინგლის-გერმანიის ომი

ბერლინი, 9 თებერვალი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ, დღისით, და 8 თებერვალს, ღამით, გერმანიის ცალკეულმა ყუმბარმშენებმა ყუმბარა დაუშინეს ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს. ხმელთაშუა ზღვაში გერმანიის ავიაციამ მძიმე ყუმბარები დააყარა ლა-ვალეტის ნავსადგურის სახიზრებსა და საწყობებს მალტის კუნძულზე. ბომბარდირებამ ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გამოიწვია. 8 თებერვალს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დააყარა დასავლეთ გერმანიის 3 დასახლებულ პუნქტს. მტრის სამი თვითმფრინავიდან, რომლებიც ნორვეგიის ტერიტორიაზე შეჭრას ცდილობდნენ, ჩამოგდებულია ორი თვითმფრინავი.

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 8 თებერვალს, ღამით, მტრის ავიაციის მოქმედებას შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. გუშინ გერმანიის ყუმბარმშენი თავს დაესხა ერთერთ პუნქტს კენტის საგრაფოს სანაპიროს მახლობლად, რომელსაც უმნიშვნელო ზარალი მიაყენა. 8 თებერვალს გამართული ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის სამი თვითმფრინავი.

საომარი მოქმედება ალბანეთში

ათენი, 9 თებერვალი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. ეს ბრძოლა საბერძნეთის ჯარის წარმატებით დამთავრდა, რომლის დროსაც ბერძნებმა ტყვეები წამოიყვანეს.

გუშინ იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა პრევეზსა და პელოპონესის დასავლეთ ნაწილში მდებარე ერთერთ სოფელს. მოკლულია 5 კაცი, ნგრევა არ ყოფილა.

გაზეთ „პროიას" გადმოცემით, ფრონტის ცენტრალურ სექტორში, კლისურის დასავლეთით, იტალიელებმა ახალი კონტრშეტევა დაიწყეს, რომელშიც ერთ დივიზიამდე ჯარი იღებდა მონაწილეობას. გაფთრებული ბრძოლის შემდეგ იერიში მოგერიებულ იქნა, მტერმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1.500 კაცი დაკარგა. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა იტალიის ორი ყუმბარმშენი.

გაზეთ „ელეფტერონ ვიმას" სიტყვით, საბერძნეთის ჯარმა წინ წაიწია ტეპელენის სექტორში.

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის ავიაციის დიდმა შენაერთებმა ინტენსიურად დაუშინეს ყუმბარა ვალონასა და სხვა რაიონებს. მეთვალყურე თვითმფრინავები აწესრიგებენ არტილერიის სროლას, რომელმაც ჯერ კიდევ 7 თებერვალს დაიწყო ქალაქისათვის ყუმბარის დაშენა. იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, იტალიელებმა ცენტრალურ ფრონტზე თავიანთი უკანასკნელი კონტრიერიშის დროს 1.000 კაცი დაკარგეს.

ომი ხმელთაშუა ზღვის აუზში

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარის მეწინავე ნაწილებმა ელ-აგეილა დაიკავეს. ბენგაზის სამხრეთით გრძელდება დაკავებული რაიონის გაწმენდა მტრისაგან. არმიის სარდლისა და კორპუსის მეთაურის ბერგონცოლის გარდა, ტყვედ ჩავიგდეთ კიდევ ხუთი იტალიელი გენერალი და რამდენიმე ათასი ჯარისკაცი.

ერიტრეაში ინგლისის ჯარი ფეხდაფეხ მისდევს იტალიის ჯარის ნაწილებს, რომლებიც ძნელად გასასვლელი ადგილებით არესისაკენ იხევენ.

აბისინიაში დროებით შენელდა ინგლისის ჯარის წინსვლა იმის გამო, რომ აქ იტალიელებმა ჩააწყეს დიდძალი ნაღმი, რომლებსაც ამჟამად უვნებელყოფენ.

იტალიის სომალში ინგლისის ჯარი კიდევ უფრო შორს შეიჭრა მტრის ტერიტორიის სიღრმეში.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარის ჯავშანსატანკო ნაწილებმა, რომლებმაც ბენგაზიდან გასულ იტალიელთა ჯარს უკან დასახევი გზა გადაუჭრეს, მიაღწიეს სოლუკსა და აჯედაბიას შორის მდებარე სანაპიროს. ინგლისის ჯარის ჯავშანსატანკო ნაწილებმა, რომლებიც ბენგაზის დაკავებაში იღებდნენ მონაწილეობას, 30 საათის განმავლობაში 150 მილი გაიარეს. იტალიელები ცდილობდნენ გაერღვიათ ინგლისის ჯარის ხაზი, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ ბრძოლა შეეწყვიტათ. ბენგაზის რაიონში ხელთ ვიგდეთ იტალიელთა 60 ტანკი.

აბისინიაში მომქმედმა სამხრეთ-აფრიკის ჯარის ნაწილებმა აიღეს მტრის ფორტი ელ-ობოკი. ხელთ იგდეს ტყვეები, სამხედრო საჭურველი და ტყვიამფრქვევები.

დიდ აქტივობას იჩენენ აგრეთვე სამხრეთ-აფრიკის კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალები. მოგადიშოს (იტალიის სომალი) ავტოტრანსპორტის სადგომზე ერთერთი თავიანთი თავდასხმის დროს მათ 800-ზე მეტი საბარგო მანქანა გაანადგურეს.

რომი, 9 თებერვალი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: საბერძნეთის ფრონტზე სწარმოებდა ადგილობრივი ხასიათის ოპერაციები. ჩამოგდებულია მტრის 2 თვითმფრინავი.

ჩრდილოეთ აფრიკაში, ბენგაზის სამხრეთით, ადგილობრივი ბრძოლა იყო. აღმოსავლეთ აფრიკაში მოგერიებულია ინგლისელთა იერიში სომალის საზღვარზე და კერენის სექტორში. მოწინააღმდეგემ სცადა საჰაერო თავდასხმა მოეწყო ასმარასა და ადი-უგრიზე; ამ ცდის დროს ჩამოგდებულია ინგლისის 4 თვითმფრინავი. იტალიის 3 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ეგეოსის ზღვის აუზში მოწინააღმდეგის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ჩვენს აეროდრომებს დოდეკანეზის კუნძულებზე. მსხვერპლი არ არის. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

7 და 8 თებერვალს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა კვლავ წარმატებით დაუშინეს ყუმბარა ინგლისის ბაზას კუნძულ მალტაზე.

გენერალი ბერგონცოლი ტყვედ ჩავარდა

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ იტალიის კორპუსის სარდალი, რომელიც ტყვედ ჩავარდა ბენგაზში, გენერალი ბერგონცოლი აღმოჩნდა. იგი მეთაურობდა ბარდიის გარნიზონს, საიდანაც ბარდიის დაცემის წინა დღით გაიქცა დივიზიის ორ გენერალთან ერთად.

ინგლისის ფლოტმა ყუმბარა დაუშინა გენუას

ლონდონი, 8 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ დღეს ინგლისის ფლოტმა ძალიან ინტენსიურად და დიდი წარმატებით დაუშინა ყუმბარა იტალიის დიდ სამხედრო-საზღვაო ბაზას გენუაში.

საბერძნეთის მეფემ ფრონტზე დაათვალიერა

ათენი, 9 თებერვალი (საკდესი). როგორც საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, საბერძნეთის მეფე ფრონტზე ჩავიდა და ჯარი დაათვალიერა. მეფემ წარჩინების ნიშნები და მედლები დაურიგა უნტერ-ოფიცრებსა და ჯარისკაცებს.

საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს

ათენი, 8 თებერვალი (საკდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური უარყოფა: ბუდაპეშტის გაზეთი „მადიარშაგი" ამტკიცებს, თითქოს საბერძნეთის მთავრობის მეთაური დათანხმებულიყოს სალონიკში ინგლისის 4 დივიზიის გადმოსხმაზე. სააგენტოს დავალებული აქვს უაღრესი კატეგორიულობით უარყოს ეს ყალბი ცნობები, რომელთა ტენდენციური მიზანი აშკარაა.

იაპონიის პარლამენტში

ტოკიო, 9 თებერვალი (საკდესი). პრესა იუწყება, რომ გუშინ ქვედა პალატამ უცვლელად მოიწონა კანონპროექტები „სახელმწიფო უშიშროების დაცვისა" და „ნაციის საყოველთაო მობილიზაციის" კანონის გადასინჯვის შესახებ. ორივე კანონპროექტი დასამტკიცებლად გადაეცა ზედა პალატას.

ქვედა პალატაში, როდესაც „სახელმწიფო უშიშროების დაცვის" კანონპროექტის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე მოხსენებას აკეთებდა, გაისმა ყვირილი „თაღლითობაა! მოტყუებაა!". თავმჯდომარემ უბრძანა დეპუტატ ტაბუცის, რომელმაც წესრიგი დაარღვია, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა სხდომის დარბაზი. რამდენადაც ტაბუცი უკვე მესამეჯერ არის გაძევებული პალატის სხდომებიდან, მისი საქციელის საკითხი განსახილველად გადაეცა პარლამენტის დისციპლინარულ კომიტეტს.

პეტენის წინადადება ლავალისადმი

ლიონი, 8 თებერვალი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პეტენმა წინადადება მისცა ლავალს შევიდეს მთავრობაში როგორც სტატს-მდივანი მინისტრი და მთავრობის დირექტორიის წევრი. ლავალმა ეს წინადადება არ მიიღო.

ა. შ. შტატების წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი სესხად ან იჯარით ამერიკული იარაღის გადაცემის შესახებ

ვაშინგტონი, 9 თებერვალი (საკდესი). წარმომადგენელთა პალატაში სესხად ან იჯარით ამერიკული იარაღის გადაცემის კანონპროექტს ხმა მისცა 236 დემოკრატმა და 24 რესპუბლიკელმა; წინააღმდეგ ხმა მისცა 135 რესპუბლიკელმა, 25 დემოკრატმა, პროგრესიული პარტიის 3 წარმომადგენელმა, ფერმერთა და მუშათა პარტიის ერთმა წარმომადგენელმა, ამერიკის მუშათა პარტიის ერთმა წარმომადგენელმა. ბევრი რესპუბლიკელი და დემოკრატი, რომლებიც კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ამტკიცებდნენ, რომ მხარს უჭერენ ინგლისისათვის დახმარების გაწევას, მაგრამ ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ პრეზიდენტს უმაგალითო რწმუნებანი მიენიჭოს.

მიღებული შესწორებანი მიზნად ისახავენ ოპოზიციის დაკმაყოფილებას, მაგრამ ამ შესწორებებს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეაქვთ კანონპროექტში. ერთი შესწორება ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტს უფლება არა აქვს გადასცეს საზღვარგარეთ უკვე მზა სამხედრო მასალა, ან ისეთი მასალა, რომლის დასამზადებლად ამჟამად გაღებულია სახსრები 1.300 მილიონ დოლარზე მეტი რაოდენობით. ამავე დროს უარყოფილ იქნა რამდენიმე წინადადება, რომელთა მიზანი იყო შეეზღუდა ისეთი საომარი მასალების გადაცემა საზღვარგარეთ, რომლებიც შემდეგში დამზადდება. მეორე შესწორება მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა ყოველ 3 თვეში მიაწოდოს ინფორმაცია კონგრესს იმ გარიგებათა შესახებ, რომლებსაც მთავრობა მიღებული კანონის საფუძველზე დასდებს. მესამე შესწორებაში აღნიშნულია, რომ კანონით ნებადართული არ არის ამერიკის სამხედრო გემების გამოყენება სავაჭრო გემების საბადრაგოდ, აგრეთვე ამერიკის გემების შესვლა სამხედრო ზონებში. ამასთან უარყოფილ იქნა წინადადება, რომელიც სპეციალურად კრძალავს ამერიკის სამხედრო გემების გამოყენებას სავაჭრო გემების საბადრაგოდ ან ამერიკის გემების შესვლას სამხედრო ზონებში. მეოთხე შესწორება ითვალისწინებს 1940 წლის 30 ივნისის კანონის მოქმედების ავტომატურად შეწყვეტას და ნებას აძლევს პრეზიდენტს დასდოს შეთანხმებანი და გადასცეს საზღვარგარეთ საომარი მასალები, ითვალისწინებს პრეზიდენტის რწმუნებათა ვადის განგრძობას ასეთი შეთანხმებების შესასრულებლად 1946 წლამდე.

122 ხმით 38-ის წინააღმდეგ უარყოფილ იქნა წინადადება, რომელიც პრეზიდენტს უკრძალავს 7 მილიარდზე მეტი დოლარის საომარი მასალის გადაცემას საზღვარგარეთ. 147 ხმით 70-ის წინააღმდეგ უარყოფილ იქნა წინადადება ამოეშალათ კანონპროექტიდან ის მუხლი, რომლითაც მეომარი ქვეყნების გემებს უფლება ენიჭებათ შევიდნენ ამერიკის ნავსადგურებში შესაკეთებლად. უარყოფილია წინადადება, რომელიც პრეზიდენტს უკრძალავს ამერიკის ჯარის გაგზავნას დასავლეთის ნახევარსფეროს ფარგლებს გარეთ, ან ფილიპინის კუნძულების ფარგლებს გარეთ, კონგრესის თანხმობის გარეშე.

საერთო კამათი სულ ერთ კვირას გრძელდებოდა. კანონპროექტის მოწინააღმდეგეებმა წარმომადგენელთა პალატის ლიდერებს ბრალი დასდეს იმაში, რომ მათ გამოიყენეს ისეთი წესები, რომლებიც კამათის დროს ზღუდავენ.

ა. შ. შტატების შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

ვაშინგტონი, 8 თებერვალი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა მინისტრმა იკესმა განაცხადა, რომ გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების მაღაროებში მომხდარი კატასტროფების შედეგად მოკლულია 1.337 კაცი და სერიოზულად დაშავდა 60 ათასზე მეტი კაცი. 1939 წელთან შედარებით, კატასტროფის შედეგად სიკვდილიანობის შემთხვევა 28 პროცენტით გადიდდა. იმ 6 სერიოზულ ინციდენტთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევაძიებამ, რომლის დროსაც მოკლულ იქნა 276 კაცი, ცხადჰყო, რომ შესაძლებელი იყო თავიდან აგვეცილებინა სიკვდილიანობის უფრო მეტი შემთხვევა.

იაპონიის ქვეშევრდომთა მოსალოდნელი ევაკუაცია ა. შ. შტატებიდან

ტოკიო, 9 თებერვალი (საკდესი). პრესა იუწყება, რომ უახლოეს დროში მოსალოდნელია იაპონიის ქვეშევრდომთა მასობრივი ევაკუაცია ამერიკის შეერთებული შტატებიდან. საგარეო საქმეთა სამინისტრო ევაკუაციას იმ სიძნელეებით ხსნის, რაც, იაპონიაში საქონლის შეტანის აკრძალვის გამო წამოიჭრა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიური გარიგებათა დადების საქმეში.

გერმანიის ბიულეტენი გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ

ვიში, 8 თებერვალი (საკდესი). გერმანიის ბიულეტენმა „დინსტ აუს დოიჩლანდმა" ამ დღეებში გამოაქვეყნა სტატია „გერმანია-საფრანგეთის სიტუაცია".

დროებითი ზავის შესახებ დადებული ხელშეკრულება, აღნიშნავს ბიულეტენი, არ ნიშნავს საომარი კონფლიქტის შეწყვეტას გერმანიასა და საფრანგეთს შორის, არამედ მხოლოდ ჰქმნის საჭირო პირობებს იმისათვის, რომ გაგრძელდეს ომი გერმანიასა და ინგლისს შორის საფრანგეთის ნიადაგზე. გამარჯვებულის უფლების მიხედვით, ეს პირობები სამხედრო მოსაზრებებს შეესაბამებიან.

შემდეგ ბიულეტენი აღნიშნავს, რომ ერთ დროს პეტენმა ჰიტლერთან მოლაპარაკების დროს გამოსთქვა გერმანიასთან თანამშრომლობის სურვილი, თუმცა თანამშრომლობის შესაძლო გზები მაშინ არ ყოფილა დაზუსტებული. ბიულეტენი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ გერმანია - საფრანგეთის განზრახული თანამშრომლობის გამტარებლად დასახელებული იყო საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი ლავალი, რომელიც მალე გააძევეს მთავრობის შემადგენლობიდან. მას შემდეგ გერმანია ვიშის პოლიტიკას ეჭვის თვალით უყურებს, რასაც სრულიადაც არ მალავს.

საფრანგეთის ამერიკელი ელჩის განცხადება

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რუზველტთან შეხვედრის შემდეგ საფრანგეთის ელჩმა ეიმ განაცხადა, რომ მას იმედი აქვს მარტის შუა რიცხვებამდე მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან სურსათი საფრანგეთისათვის. ეის სიტყვით, 15 მარტისათვის საფრანგეთში დარჩება პურის „ძალიან უმნიშვნელო რაოდენობა, ხოლო შესაძლოა სრულიადაც არაფერი დარჩესო".

საკონცენტრაციო ბანაკების რეორგანიზაცია საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ვიშში გამოცხადდა, რომ მოხდა უცხოელთათვის მოწყობილი საკონცენტრაციო ბანაკების რეორგანიზაცია. აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტში გაიხსნება 3 ახალი ბანაკი, რომლებშიც ინტერნირებულ იქნება 35 ათასი კაცი. რივზალტში იქმნება ბანაკი ცოლშვილიანებისათვის, ნოეში — მოხუცებულებისა და ავადმყოფებისათვის, ბარკარესში — უშვილო ოჯახებისათვის. რიეკროში, გიურში, ბრამში, არულე-სიურმერში ბანაკები დაიხურება.

როგორც გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" იტყობინება, ვიშის მთავრობა საკონცენტრაციო ბანაკებიდან ათავისუფლებს 2 ათას შეძლებულ უცხოელს.

ფლანდენის გადადგომა და დარლანის დანიშვნა საგარეო საქმეთა მინისტრად

ბორდო, 9 თებერვალი (საკდესი). გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრი ფლანდენი. მის მაგივრად დაინიშნა ადმირალი დარლანი. დარლანი აგრეთვე დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და რჩება საზღვაო მინისტრის პოსტზე.

გერმანელი გენერლის კვადეს სტატია

ბერლინი, 8 თებერვალი (საკდესი). ავიაციის გენერალი კვადე გაზეთ „ბერლინერ ბერზენცაიტუნგში" მოთავსებულ სტატიაში აღნიშნავს, რომ ინგლისის სამხედრო მრეწველობა, გერმანიის ავიაციის თავდასხმის შედეგად, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საავიაციო წარმოებაში სცვლიან მანქანების დეტალებს, რომლებსაც რამდენიმე სპეციალურ ქარხანაში ამზადებენ მაღალი კვალიფიკაციის მუშები. ერთერთ ასეთ ქარხანაში მუშაობის შეწყვეტას შეუძლია გამოიწვიოს დიდი შეფერხება წარმოებაში. ინგლისის საავიაციო ქარხნები ძირითადად მდებარეობენ ინგლისის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში, მაშასადამე, იმ ადგილებში, რომლებსაც გერმანიის ყუმბარმშენები მისწვდებიან. გერმანიის ავიაციამ თავიდანვე გამოიყენა ეს ფაქტი.

გერმანიის ავიაციის მიზანს, სწერს კვადე, აგრეთვე წარმოადგენს ბრძოლა ინგლისის ნაოსნობასთან და ინგლისისათვის საქონლის მიწოდებასთან საზღვაო გზებით. ამ ბრძოლას გერმანიის ავიაცია სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ურთიერთმოქმედებით ახორციელებს. გერმანიის ავიაცია მნიშვნელოვან ზარალს აყენებს აგრეთვე ინგლისის ნავსადგურებს. მთელს სამხრეთ და ცენტრალურ ინგლისში საეჭვოა იყოს თუნდაც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნავსადგური, რომლისთვისაც ინტენსიურად არ დაეშინოს ყუმბარა გერმანიის ავიაციას. სანავსადგურო ნაგებობებისათვის მიყენებული ზარალი აძნელებს ინგლისში მიღებული მასალების გადმოტვირთვას და განაწილებას.

ქ. თარგამაძე

საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე

ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის დამზადების შემდგომი აღმავლობისათვის

პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ და აძლევენ რაიონების ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, როგორც ფართო მოხმარების დამატებითი საქონლის შექმნის მძლავრ წყაროს.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ მოგვცა დირექტივა „ყოველმხრივ განვავითაროთ ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია, რომლებიც მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დიდ წყაროს წარმოადგენენ". ყრილობამ აღნიშნა ხუთწლედის მანძილზე ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ერთიორად გაზრდისა და ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოებისა და გაუმჯობესების მიღწევის საჭიროება. ყრილობის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე ადგილობრივი მრეწველობა მნიშვნელოვნად განვითარდა და მან ქვეყანას მისცა ფართო მოხმარების დამატებითი პროდუქციის დიდი რაოდენობა.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დიდი მუშაობა გასწიეს.

ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში შექმნილია რაიონული დაქვემდებარების ახალ საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და გაფართოებული არიან არსებულნი: აშენებულია 15 ახალი კრამიტის ქარხანა, 12 კერამიკული საწარმო, კაფელის ქარხანა, ფაიფურის ქარხანა, მთელი რიგი სატრიკოტაჟო და საავეჯო საწარმოები, მთამადნეული ნედლეულის მომპოვებელი საწარმოები და სხვ.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მრეწველობის ფართო მოხმარების საქონლის წარმოების სამრეწველო პროდუქციის მოცულობას დიდი ხვედრითი წონა აქვს რესპუბლიკის მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ (ინვალიდთა კოოპერაციისა და საქტყემრეწვკავშირის სისტემის ჩათვლით) 1940 წელს ფართო მოხმარების საქონელი გასაშვებ ფასებში გამოუშვა 300 მილიონ მანეთზე მეტისა. რაიაღმასკომებისა და საქალაქო საბჭოების დაქვემდებარების რაიონულმა მრეწველობამ — 45 მილიონი მანეთის (1926-27 წ. ფასებში), ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის რესპუბლიკურმა მრეწველობამ გასაშვებ ფასებში 18 მილიონამდე მანეთის პროდუქცია გამოუშვა, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრეწველობამ — 50 მილიონ მანეთზე მეტის. როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ სისტემებში 1940 წლის განმავლობაში ბაზარზე გამოშვებულია 400 მილიონ მანეთზე მეტის პროდუქცია, რაც მოწმობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის განსაკუთრებით დიდ როლს ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წ. 9 იანვრის დადგენილება სახავს ახალ პერსპექტივებს ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

იქმნება ყველა საჭირო პირობა ადგილობრივი მრეწველობის აღმავლობისათვის. საქართველოს სსრ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების შესასრულებლად მოელით დიდი მუშაობა, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ბაზარზე ფართო მოხმარების საქონლის დიდი რაოდენობით მიწოდება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

თავისი ბუნებრივი სიმდიდრეების მიხედვით ჩვენს რესპუბლიკას ყველა პირობები მოეპოვება ადგილობრივი რაიონული მრეწველობის უფრო ფართოდ განვითარებისათვის. ადგილობრივი და რაიონული მრეწველობის, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის მრეწველობის განვითარებაში არსებული ჩამორჩენით შეიძლება აიხსნას ის, რომ ისეთი საქონელი, როგორიცაა ქინძისთავები, ნემსები, ქნოპები, სავარცხლები, სარეცხის დასამაგრებლები, თითქმის არ მზადდება ჩვენში და საჭირო ხდება მათი შემოტანა.

ცეკავშირს და საქართველოს სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს რესპუბლიკაში შემოაქვთ ისეთი ასორტიმენტის საქონელი, რომელიც თავისუფლად შეიძლება ადგილობრივ დამზადდეს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის განვითარების შემფერხებელ სხვა მიზეზთა შორის იყო იმ საქონლის წარმოებისა და გასაღების დაგეგმვის არასწორი სისტემა, რომელსაც ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია ამზადებენ. ისინი არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივ ინტერესებს და სათანადოდ არ უზრუნველყოფდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების დაინტერესებას ფართო მოხმარების საქონლის დამზადების გაფართოებით.

მართლაც, მაშინ როდესაც საქართველოში დიდია რკინის კასრების მოთხოვნილება, სარეწაო კოოპერაციის სრულიად - საკავშირო საბჭოს წინადადებით 1940 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული რკინის კასრების მნიშვნელოვანი ნაწილი ლენინგრადში გაიგზავნა; საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული საათები სარეწაო კოოპერაციის სრულიად-საკავშირო საბჭოს წინადადებით 1940 წლის მეოთხე კვარტალში სარეალიზაციოდ - საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ იქნა გატანილი; 1940 წლის მესამე კვარტალში საქართველოს სარეწაო კოოპერაციამ საპნის წარმოების საჭიროებისათვის დაამზადა 100 ტონა ბამბის ზეთი, სარეწაო კოოპერაციის სრულიად - საკავშირო საბჭომ კი მოითხოვა ეს ზეთი საპნის დასამზადებლად გაეგზავნათ ლენინგრადში და ა. შ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰგმეს პრაქტიკა იმ ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოებისა და გამოყენების ცენტრალიზებული დაგეგმვისა, რომელსაც ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია ამზადებენ, და გააუქმეს იგი, როგორც ისეთი, რომელიც აფერხებს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას და წარმოშობს საქონლის ერთი ოლქიდან მეორეში გადაზიდვა - გადმოზიდვას.

ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის დამზადების გაფართოების საქმეში რაიონული და საქალაქო საგეგმო კომისიების წინაშე ფრიად სერიოზული ამოცანები დგას.

მათ საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად უნდა გამოავლინონ რაიონის ახალი ნედლეული რესურსები ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის დასამზადებლად, უზრუნველჰყონ სათანადო ღონისძიებათა დამუშავება მათი სრული გამოყენებისათვის; რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად გამოავლინონ რაიონის მოთხოვნილება საქონლისა და ასორტიმენტის მხრივ; სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების შესასრულებლად ადგილობრივი მრეწველობის დაგეგმვის მხრივ ააგონ მუშაობა ისე, რომ ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენების ბაზაზე მოეწყოს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ისეთი მოცულობით, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს მოცემული რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილებას, და ამით აღმოფხვრის ფართო მოხმარების საქონლის არარაციონალურ გადაზიდვა - გადმოზიდვას რაიონიდან რაიონში; სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებს საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში საწარმოთა მუშაობის მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელების გზით; დროზე აიცილონ თავიდან ყოველგვარი საწარმოო გარღვევა, დაეხმარონ საწარმოებს ყველა საწარმოო დეფექტების ლიკვიდაციაში.

მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა ჩვენს წინაშე უკვე დააყენეს საკითხი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შეზღუდვისა მხოლოდ რაიონის საჭიროებით: რაიონულმა მრეწველობამ, როდესაც მას ნედლეულისა და წარმოების დიდი შესაძლებლობანი მოეპოვება, უნდა შეზღუდოს თუ არა წარმოება მხოლოდ რაიონის საჭიროების ფარგლებით? არა, არ უნდა შეზღუდოს. მოსახლეობის შეძლებულობა, ამ შეძლებულობის განუწყვეტელი ზრდა უდიდეს მოთხოვნებს აყენებს საქონელზე. რაიონებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ ნედლეულის ყველა რესურსები ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის ბაზარზე გამოშვების გასადიდებლად, უნდა ახსოვდეთ, რომ ბაზარზე გამოშვებული საქონლის ყოველი ახალი პარტია იქნება აგური ჩვენი რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კეთილდღეობის მშენებლობაში.

საქართველოს სსრ ყველა რაიონში ამჟამად სწარმოებს დამუშავება პრაქტიკული წინადადებებისა ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის დამზადების გადიდების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების განსახორციელებლად. სწარმოებს გამოვლინება ახალი შესაძლებლობებისა ბაზარზე საქონლის ახალი პარტიების გამოსაშვებად.

ჩვენი რესპუბლიკის თვითეული რაიონის ღირსების საქმეა უზრუნველჰყოს ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების საქმიანად შესრულება. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში მისთვის ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობის შექმნის ამოცანის უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები წარმატებით შეასრულებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის დადგენილებას და მნიშვნელოვნად გაადიდებენ ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის

ქობულეთის ბაღნარებში

სოლომონ თავაძე

პირველი კრება

ზურმუხტივით ბრწყინავენ ადრე გაზაფხულზე აჭარის მიდამოები; სანაპიროებს ისეთი ლიმმორეული ელფერი შეეფინება, თითქოს სარკედ შლილ ზღვაში იცქირებიან და ხუჭუჭ თმას ივარცხნიანო. თანაც ისე ენარნარებიან მზის დამტკბარ სხივებს, გეგონებათ ზღვის ოდნავ რხეულ ტალღებს, ცის ლაჟვარდივით გამჭვირვალე ტალღებს ბაძავენო.

იმ დღესაც, 1902 წლის მარტის 29-ს, მზიანი დარი იყო.

ქობულეთის რკინიგზის სადგურს ბათუმიდან მომავალმა მატარებელმა მოაკივლა. ბაქანზე ჟანდარმმა დეზები ააჩხარუნა, მზვერავი თვალები მოავლო შინ მოქსოვილ შალის ჩაქურიან აჭარლებს, შავჩადრიან ქალებს.

მატარებლიდან რამდენიმე ახალგაზრდა გადმოვიდა. ყველას მუშურად ეცვა. ერთს, უფრო ახალგაზრდას, უბრალო ხალათზე მოკლე პიჯაკი ჰქონდა გადაცმული, გრუზა თმაზე კეპი ეხურა და ყელზე შემოხვეული კაშნე შავგვრემან სახეს უშვენებდა.

აუჩქარებლად გაემართნენ ისინი ცინცრიშის ხიდისაკენ. აქ მათ ამხანაგები შემოეგებნენ და სამხრეთისაკენ გაუძღვნენ. მდინარის ნაპირს მიჰყვებოდნენ, მისაუბრობდნენ. ხელმარცხნივ გაუვალი ტყე იყო, დაჭაობებული, ობმოკიდებული; ტბორებს მწვანე ხავსი გადაზრდოდათ; მხოლოდ აქა-იქ გამოკრთოდა ბაყაყების მიერ ლორწოშემოცლილი წყალი.

ამ უსიერ ტყეში ერთი ბილიკი უხვევდა და მგზავრებიც იმ ბილიკს გაჰყვნენ, ხოლო გზაზე მეთვალყურენი დასტოვეს. კარგა მანძილი გაიარეს და შუა ტყეში, შემაღლებულ ბორცვზე თავმოყრილი ხალხის ხმა გაიგონეს.

ამ ბორცვის ირგვლივ ოდესღაც სოფელი ყოფილა, გზად ინგლისელებს გაუვლიათ და ამიტომ ნაინგლისევს ეძახიან.

არასოდეს არც იმ ბებერ ხეებს და არც იქ თავმოყრილ 50 კაცს ისეთი სიტყვა არ მოუსმენია, როგორიც იმ დღეს ახალგაზრდა სტალინმა წარმოსთქვა. უბრალოდ, მარტივად ლაპარაკობდა ის, მაგრამ თვითეული მისი სიტყვა მზესავით ენთებოდა, მსმენელთა გულის სიღრმეს სწვდებოდა და მრავალჭირნახული ხალხის ცხოვრებას, მონობის უღელში ჩაჭედილს, გზა ეხსნებოდა, შეუპოვარი ბრძოლისა და გამარჯვების გზა. სულგანაბული უსმენდნენ სოსოს იმ ხალხის მოწინავე შვილები, რომელმაც არაერთგზის განიცადა რბევა და გაპარტახება თურქეთის სულთნების ურდოებისაგან, ადგილობრივი ბეგებისა და მოლებისაგან, რუსეთის თვითმპყრობელობისაგან.

მრავალი შეკითხვა მისცეს სოსოს იმ დღეს უცებ მოზღვავებული იმედით სახეგაცისკროვნებულმა ფუხარა გლეხებმა, და ყოველი მისი პასუხი ალიონის შუქივით იჭრებოდა ძველი ცხოვრების შავად ჩამოწოლილ ღრუბლებში. თვითონაც ალიონს ჰგავდა სოსო, ამომავალი ეპოქის ალიონს.

— ჩვენ მეტად მწვავე ბრძოლები შეგვხვდება, მრავალი სიძნელე გადაგვეღობება, მაგრამ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! — სთქვა იმ დღეს სტალინმა.

მას შემდეგ 39 წელი გავიდა. ყოფ. როტშილდის ქარხნის მუშას — იასონ ხუხუნაშვილს, ამჟამად ქობულეთში მცხოვრებს, რომელიც ამ კრების ერთი ორგანიზატორთაგანი იყო და ახლა აღტაცებით იგონებს იმ ბედნიერ დღეს, უკვე ხანდაზმულობა დამჩნევია, მაგრამ სტალინთან შეხვედრაზე რომ ლაპარაკობს, თვალები ყმაწვილივით უბრწყინავს და მოპოვებული გამარჯვებით ღირსეულად ამაყობს.

ამ ოცდაცხრამეტი წლის მანძილზე აჭარის მშრომელმა ხალხმა განიცადა ცხრაას ხუთის აღმავალი დღეები, თვითმპყრობელობის სისხლიანი რეაქცია, მენშევიკების თარეში და აგერ უკვე ოცი წელია, რაც საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ წყობილებას, რომელმაც სავსებით გარდაჰქმნა არა მარტო ხალხის ცხოვრება, არამედ თვით დედამიწაც.

ახლა იმ ბორცვის ირგვლივ გაშლილი ჩახერგილი ტყე და შხამიანი ჭაობები, სადაც პოხიერ ნიადაგზე მობნეულ მარცვლებივით ჩაითესა ხალხის გულში დიდი მასწავლებლის, ჩვენი ღვიძლი სტალინის სიტყვები, თვალწარმტაც წალკოტად არის გარდაქმნილი; ახლა აქ მარად მწვანე ჩაის ბუჩქები, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ევკალიპტი და უამრავი უცხო მცენარეა გაშენებული. ახლა... მაგრამ განა ასე ადვილი ასაწერია, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში გაახარა, ააყვავა, ააშენა აჭარელმა ხალხმა თავისი შემოქმედი შრომითა და ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით? მაინც ვცადოთ. ოდნავ მოვავლოთ თვალი.

ხუცუბანი

ესაა სტალინის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა. აქ ამ ოცი წლის წინათ ღარიბული სახლების გვერდით იშვიათად შეხვდებოდით მაღალზე წამოდგმულ ოდას. ქოხებს გარს ერტყა გვიმრა, ეკალი, შქერი და ტყე; მხოლოდ აქა-იქ, ეზოებში იყო გაშენებული მეჩხერი ხეხილი, უმთავრესად ვაშლი. მძიმე ჯაფაში ჩაბმულ მშრომელთ დრო ვერ ეშოვნათ, ვერ მოეხერხებინათ, რომ თავისი კარმიდამო ეკალ-ბარდისაგან გაეწმინდათ.

ქობულეთის რაიონის მოწინავენი (ზევიდან ქვევით): დ. ნიჟარაძე (სოფ. ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსანი თავმჯდომარე), ხ. ქიქავაძე (სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ტ. ცინცაძე (ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩაის მკრეფავი), ი. ფუტკარაძე (ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი), ვ. ვარეიშვილი (ალამბრის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა), შ. ბოლქვაძე (ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსი), დ. ინაიშვილი (ალამბრის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახლა კი, აგერ სასოფლო საბჭოს გასწვრივ, გორაკზე რომ ახვიდეთ და ირგვლივ მიმოიხედოთ, თვალს ვერ დაუჯერებთ: ნუთუ ასე მოკლე დროში გაიკაფა, ამოშრა, გადაიბარა, გაშენდა ეს უმშვენიერეს წალკოტად ქცეული კორდები, ველები და ფერდოები?!

თოვლით ახლად შეფიფქული მთის შეფენებიდან ზღვამდე თვალს იტაცებენ მხარდამხარ ჩამწკრივებული ჩაის ბუჩქები, ნაპირებზე შემოვლებული ევკალიპტები და დეკორატიული მცენარენი, მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ბაღები, ზოგი უკვე მოსწრებული, მოღონიერებული, ზოგი კი სულ ნორჩი, გასულ წელს გაშენებული.

ხოლო გორაკების თხემებსა და კორტოხებზე კოხტად წამოდგმულია კოლმეურნეთა სახლები — სრული ოდები, რომელთაც ირგვლივ ათი თუ რვა წლის წინათ დარგული ნარინჯოვანთა ბაღი აკრავს.

ჩვენს ხალხს მრავალი საუკუნის მანძილზე თავისი სისხლითა და ძვლებით უპოხიერებია ეს მიწა, მრავალ გმირს დაუდევს მისთვის თავი, გავერანებულ ნასოფლარებში დარჩენილ დედებს შეუნარჩუნებიათ იმედის ნაპერწკალი და სიმწრით უზრდიათ შვილები. რომ მათ აღედგინათ მტრის მიერ დანგრეული; ზოგი რამ კიდეც განუახლებიათ, თვალისჩინივით შემოუნახავთ მშობლიური ენა და მშობელი ქვეყნის სიყვარული, — მაგრამ არასოდეს ეს მიწა ასე განახლებული, ასე ნაყოფიერი, ასე ხვავიანი არ ყოფილა; მან თითქო ახლა იგრძნო მოსიყვარულე ხელის შეხება და უამრავი ნერგების ყვავილებით გაუღიმა მშრომელ ადამიანს.

რა ძალამ აამოქმედა ასე ეს ხალხი? რამ დარაზმა?

— საკოლმეურნეო წყობილებამ, კოლექტიურმა შრომამ.

ამიტომ არის, რომ აქ ყოველი მოსწრებული პლანტაციის, ყოველი სრულმსხმოიარე ციტრუსის ცხოვრება უმთავრესად იმ დღიდან იწყება, როდესაც კოლმეურნეობამ ღრმად გაიდგა საფუძველი.

კოლექტიურმა შრომამ გააშენა და ააყვავა არა მარტო დედამიწა, არამედ მან გარდაჰქმნა თვით ადამიანი, შესცვალა მისი დამოკიდებულება შრომისადმი.

აი კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი — ოსმან ქიქავაძე; ახალგაზრდა კაცი, შავგვრემანი, ჩასკვნილი. 1932 წლიდან ოსმანი ბრიგადირია და გეგმას მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. ციტრუსების კულტურების გაშენებასა და ზრდასთან ერთად ღრმავდებოდა მისი ცოდნა და გამოცდილება.

მაგრამ მარტო ცოდნა არ კმარა. ეს კულტურები მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან, მარტოოდენ წინასწარ გამოანგარიშებული მოვლით როდი კმაყოფილდებიან, მათ მხოლოდ მოსიყვარულე თვალის მზრუნველი შუქი ახარებს.

ეს სიყვარული, ეს მზრუნველობა არის ოსმან ქიქავაძისა და სხვა მრავალი მოწინავე კოლმეურნის დამახასიათებელი თვისება. ამით არიან ისინი ძლიერნი და ხშირად თითქმის დაუჯერებელ გამარჯვებას აღწევენ.

ოსმანი 1939 წელს იყო მოსკოვს, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და ჯილდოდ სიგელი მიიღო, წელსაც გამოფენის კანდიდატია.

გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება. გასულ წელს მემედ ხინიკაძემ 1028 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო ოსმან ემირიძემ — 1058; თვითეულმა მათგანმა კოლმეურნეობიდან მარტოოდენ ფულად მიიღო ათი-თერთმეტი ათასი მანეთი.

საერთოდ კი მთელი კოლმეურნეობის შემოსავალი 1936 წელს თუ 457 ათას მანეთს უდრიდა, შარშან 1.279 ათას მანეთამდე ავიდა.

მაგრამ კოლმეურნენი ამით არ კმაყოფილდებიან. გასულ წელს მათ 75 ჰექტარზე გააშენეს ციტრუსები, წელსაც უმატებენ.

წარმოიდგინეთ, რა იქნება, როდესაც მთელი ეს ახალგაზრდა ნერგები წამოიზრდებიან და სრულ ნაყოფს მისცემენ კოლმეურნეობას!

ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ვლ. ვეკუა.

ამითაც არ ამოიწურება საბჭოთა წყობილების გავლენა ხალხის ცხოვრებაზე. წინათ აჭარაში იშვიათად ნახავდით მშრომელთა წრიდან გამოსულ ინტელიგენტს, ამჟამად კი მათი რიცხვი განუწყვეტლივ მრავლდება.

აგერ კოლმეურნეებს შინაურულად, გულგახსნილად ესაუბრება ამ ახალი ინტელიგენციის ერთი წარმომადგენელი — ქესკინ მეგრელიძე, მკვირცხლი ახალგაზრდა, ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამ ხალხის წრიდან გამოსული, მისი ღვიძლი შვილი.

ახლა თვალი შევავლოთ ხუსეინ ქიქავაძის კარმიდამოს.

ხუსეინი ჯერ კოლმეურნეობის რიგითი წევრი იყო, შემდეგ სანერგის გამგე, ხოლო 1937 წლიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

— მამაჩემი ღარიბი იყო, მოჯამაგირე, — ამბობს ხუსეინი, — სამი ძმა დავრჩით. აჭარაში საბჭოთა წყობილება რომ დამყარდა, ქოხში ვცხოვრობდით. ახლა კი ერთი მოსახლე თუა, მეც არ ჩამოვრჩები. აგერ მობრძანდით, ნახეთ. — გვითხრა და დაწინაურდა.

ალაგზე გადავაბიჯეთ და ხარბად ტოტებგაშლილი მანდარინების ბაღში შევედით.

ქინქლავდა. ხანდახან ფართო ფანტელი გამოერეოდა და ნაზად ადნებოდა მანდარინის ხასხასა ფოთოლს. ქუფრი ღრუბლების ბინდში მთის კალთებიდან გამომკრთალი თოვლის შუქი იჭრებოდა და მშვიდ ნათელს ჰფენდა გარემოს.

კიბეს ავყევით და მაღალ ბალავარზე წამოდგმულ ოდის შუშაბანდიან აივანზე ავედით. სახლი ახალი აშენებულია, ლამაზად მოწყობილი. ვრცელი აივანი, ორი დიდი დარბაზი და კიდევ უკანა ოთახები; თეთრი ფარდები და გულმოდგინედ მორთული საწოლები. სისუფთავე ისეთი, რომ მზის სხივიც კი ვერსად დაიჭერს ბუსუსს მტვრის.

ჩვენი მასპინძელი პირმცინარე კაცია, დარბაისელი, ცოცხალი.

გულგახსნილი ღიმილით შემოგვეგება და მიამიტად გვითხრა:

— არ გეგონოთ მარტო მე ამეშენებინოს ასეთი სახლი. სხვას რომ თავი დავანებოთ, გასულ წელს ათმა კოლმეურნემ აიშენა საუკეთესო ოდა. შიგ რომ შეხვიდეთ, ისე აქვთ მოწყობილი, რომ უთუოდ გაგიხარდებათ...

გარეთ კვლავ ცრიდა, მაგრამ აივნიდან მაინც გარკვევით მოსჩანდა გორაკებზე გადმომდგარი დიდი ოდები, სიყვარულით მოვლილი ბაღები და მარლით შეხვეული სათუთი ლიმონები.

ჩაის პლანტაციის საზამთრო გადაბარვა ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

უჩადრო ქალები—შრომის გმირები

ვინ არ იცის, რომ ყველაზე ჩაგრული, დაბეჩავებული, ადამიანურ უფლებებს მოკლებული ძველ აჭარაში ქალები იყვნენ. პონური ცხოვრების მთელი სიმძიმე მათ აწვათ. საზოგადოებაში გამოსვლა და ქალური სილამაზის გამოჩენა მათთვის აკრძალული იყო. კერაზე იყვნენ მიჯაჭვული და გულჩათხრობილად ემორჩილებოდნენ დახავსებულ წესებს. მაგრამ სულის იმდენი სიძლიერე მაინც შერჩენოდათ, რომ მშობლიურ ენას არ ელეოდნენ, პირველი იავნანიდანვე უნერგავდნენ თავიანთ შვილებს.

საბჭოთა წყობილებამ ნათელი თავისუფლება და დიდი სიხარული აჭარელ ქალებსაც მოუტანა. მაინც კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ შეძლეს მათ ჩადრის ახდა...

საკოლმეურნეო ცხოვრებამ სავსებით გამოაცალა საფუძველი დრომოჭმულ ადათებს და ქალი თავისუფალი შრომის ასპარეზზე გამოიყვანა.

ამჟამად აჭარაში მრავლად არიან საბჭოთა სკოლებში აღზრდილი ქალები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, დეპუტატები, სტახანოვური შრომის გმირები. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს.

აი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის — ხუსეინ ქიქავაძის მეუღლე — აიშე. 1939 წელს აიშე საკ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყო და ხუსეინი თავისებური ოხუნჯობით ამბობს:

— რაი, ძმავ, მეტროდან რომ გამოვედით და მანქანაში ჩავჯექით, ჩემ ცოლს გადავხედე და ვუთხარი: ქალო, ეს რა მოგვესწრო, სიზმარია, თუ ცხადი—მეთქი...

აიშე დიდ ოჯახს უვლის, მაგრამ შარშან მან 200 შრომადღე გამოიმუშავა და აბრეშუმი ორჯერ აკეთა.

ქობულეთის რაიონში სახელი მოიხვეჭა ხალხის დეპუტატმა ხატიჯე კაკაბაძემ, რომელმაც გასულ წელს სეზონზე თავისი ხელით მოკრეფილი 10 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა და 1.055 შრომადღე გამოიმუშავა; ხოლო ერთ დღეს საოცარი რეკორდი დაამყარა — 428 კილოგრამი მოჰკრიფა! ეს თითქო დაუჯერებელია, მაგრამ ყოველმხრივ შემოწმებული ფაქტია.

ხატიჯეს მიჰყვებიან თუნთულ ქეისეიშვილი, აიშე მოწყობილი. თუნთულ თხილაიშვილი, ხატიჯე შარაშიძე, ფერიდე ცეცხლაძე, აიშე გოგიტიძე და სხვა მრავალნი. აიშე გოგიტიძემ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებაზე ორი წლით უმცროსია, გასულ წელს 380 შრომადღე გამოიმუშავა. აიშე შარშან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო და წელსაც მისი კანდიდატია.

ასე გაუხსნა გზა, ასე აამაღლა აჭარელი ქალი შრომის დიდებამ.

ბობოყვათი

ამ კოლმეურნეობას, რომელიც ამხ. მოლოტოვის სახელს ატარებს, სულ 10 წლის ისტორია აქვს და უკვე სამი წელია მილიონერია. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მიერ მეორე ხარისხის დიპლომითაა დაჯილდოებული.

ჯერჯერობით კოლმეურნეობას 93 ჰექტარზე გაშენებული ჩაის პლანტაცია აძლევს შემოსავალს, ხოლო 231 ჰექტარ ციტრუსებიდან 197 ჰექტარი 2-3 წლის წინათ არის დარგული, უმთავრესად ლიმონი, და ის ნაყოფს მხოლოდ ახლო მომავალში გამოიღებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მოკლე დროში კოლმეურნეთა ცხოვრება ეკონომიურად და კულტურულად მაღალ საფეხურზე ავიდა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მიერ პატარა ვერცხლის მედლით დაჯილდოებულმა სულეიმან რუსიოღლიმ გასულ წელს კოლმეურნეობიდან მიიღო 26.260 მანეთი და 2.281 კილოგრამი სიმინდი და ბრინჯი, ხოლო ოსმან დატიოღლიმ — 16.750 მანეთი და 1.429 კილოგრამი მარცვლეული.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — ოსმან მგელაძეს დიდი დრო სჭირდება, რომ მარტოოდენ ციფრებით აამეტყველოს თავდადებული შრომით მოპოვებული მიღწევები.

ყოველივე ამას კოლმეურნეობამ მიაღწია იმით, რომ მან წარმოშვა ნიჭიერი მოწინავე ადამიანები.

ამათ რიცხვს ეკუთვნის ბრიგადირი მემედ კონძელიძე, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, წელსაც მისი კანდიდატი, რომელმაც შარშან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 5.742 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ცალკეულ ნაკვეთზე — 10.000 კილოგრამი.

აგერ კანტორაში შემოდის შესახედავად ახალგაზრდა კაცი — ახმედ მახარაძე. ემჩნევა, რომ საქმეში ჩახედული, დაკვირვებული ჭაბუკია. მას მოსკოვი უკვე მოვლილი აქვს, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მიერ პატარა ოქროს მედლით არის დაჯილდოებული და ამ კოლმეურნეობაში დიდმოსავლიანობისათვის ბრძოლის წამომწყებია.

საღამო ახლოვდებოდა, კოლმეურნეობის დარბაზიდან რომ გამოვედით. ახმედმა ლამაზ გორაკზე წამოდგმულ დიდ ოდაზე მიგვითითა.

— ესაა ჩემი სახლი. მის გასწვრივ, ქედზე რომ ოდები მოჩანს, ჩემი ბიძაშვილებისაა.

ჩემს სიყმაწვილეში მივლია ხოლმე ამ მხარეში, მაგრამ მაშინ თუ სადმე ასეთ სასახლეს დავინახავდი, გულში უნებლიედ სიძულვილის გრძნობა ამეძვროდა, ვინაიდან მასში ხალხის მჩაგვრელი მეგულებოდა. ახლა კი... რა ლამაზად ეფინება ღრუბლებიდან გამომკრთალი შუქი ამ კოტეჯებს, ამ ბაღებს, ამ მარად მწვანე წალკოტს!

ალამბარი

აუჩქარებლად მიჰყავს მანქანა შოფერს. მაინც გული გწყდება, ირგვლივ გაშლილ პლანტაციებსა და გახარებულ ციტრუსებს რომ საკმაოდ ვერ უცქერ, ვერ ასწრებ დასტკბე აყვავებული ქვეყნის სილამაზით.

გზის პირად ჩამწკრივებულ მაღალ ევკალიპტებთან შეაჩერებინა მანქანა საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანმა — ამხ. ვანო დვალმა.

დინჯი, აუჩქარებელი და მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილი კაცია ამხანაგი ვანო, მაგრამ ღობეზე რომ გადავაბიჯეთ და ჩაის მაღალ ბუჩქებში შევედით, მის ფართო სახეზე მჩქეფარე აღტაცება აღიბეჭდა და ისე ნაზად მოუსვა ხელი გაზაფხულის ფერით გაბრწყინვებულ ფოთლებს, თითქო გაღიმებულ ბავშვს ელერსებაო.

ალამბრის საბჭოთა მეურნეობისაკენ გავსწიეთ. მიხვეულ-მოხვეულ გზაზე, აღმართ-აღმართ მისრიალებს მანქანა. გაღმა-გამოღმა ფერდობზე მხოლოდ აქა-იქ, მცირე ზოლებზე გვხვდება შქერი და გვიმრა, დანარჩენი სულ ახლადგაშენებულია.

ხევში მაღალ კამარას მივადექით. აქედან იწყება ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობა. შვიდი თუ რვა წლის წინათ აქ ყველგან ტყე იყო, ახლა კი — მეტად ვრცელ ფართობზე — 120 ჰექტარზე 42.362 ძირი ციტრუსია გაშენებული, უმთავრესად ლიმონი.

ჩვენს ქვეყანაში ახლა ყოველ კუთხეში შეხვდებით ასეთ სახეცვალებას და ეს უკვე აღარ გვაკვირვებს. მხოლოდ სიამაყისა და სიხარულის გრძნობა გვიპყრობს.

და ეს სიხარული ჩვენ მოგვანიჭა ჩვენმა დიდმა მშენებელმა, ჩვენი ბელადის ღირსეულმა მოწაფემ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ.

რამდენი გავერანებული ადგილისათვის შეუვლია მას თვალი და უთქვამს — აქ ესა და ეს უნდა გაშენდესო. მისი სიტყვა ხომ საქმეა, და აი ახლა ჩვენ ვხედავთ ჩვენს სახეცვლილ, აღორძინებულ, აყვავებულ სამშობლოს.

ეს საბჭოთა მეურნეობაც ამხ. ლ. ბერიას მითითებით გაშენდა.

მაღლობზე წამოდგმულ კოხტა სახლებთან ავედით. აქედან ნათლად მოჩანს ხევები, ფერდოები და სერები, სადაც წელგამართული ციტრუსები ხარობენ.

აგერ გორაკის თხემზე და შეფენებზე ლიმონის ხეები მარლით შეუხვევიათ და ისე მოსჩანან, თითქოს თეთრად მოსილი მოწყალების დები დარაზმულანო.

რამდენიმე მაღალი მანდარინაც შეუხვევიათ ასე. ესენი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატები არიან. მარლა რომ გადავწიეთ, ქარვის კრიალოსანივით შემოგვანათა ფორთოხლის ოდენა მანდარინებით დახუნძულმა ტოტებმა.

ღრუბლიანი დღეა. მთის კალთები, თოვლით დაბურული, ისე ახლოა, გეგონებათ ხელს მიუწვდენო. მაგრამ აქ ისე თბილა, ისეთი ნაზი და დამტკბარი ჰაერია, თითქო იანვარი კი არა, მაისიაო. ამიტომ არიან აქ ესოდენ გალაღებული ეს სათუთი მცენარენი.

კოლმეურნეობაში რომ ჩავბრუნდით, ამხ. დურსუნ ნიჟარაძე შემოგვეგება.

— ბრიგადასთან ვიყავი, ლიმონებს ფუთნიან. იქ გავიგე თქვენი მოსვლა, — ღიმილით გვითხრა დურსუნმა.

მაღალი, წარმოსადეგი, სახეღაჟღაჟა კაცია დურსუნი. ცხრა წელიწადია კოლმეურნეობის თავმჯდომარეა და დღენიადაგ მისი გაძლიერებისათვის ზრუნავს. შრომის წითელი დროშის ორდენით არის დაჯილდოებული.

— მამაჩემს ვერ დავემდურები, მარა სწავლა რომ არა მაქვს, ეს ძლიერ მიშლის ხელს, — იტყვის ხოლმე დურსუნი, თუმცა არავითარი უსწავლელობა მას არ ემჩნევა. პირიქით, მისი გონების ჰორიზონტი შორსაა გაშლილი, ძველად აჭარელი გლეხი ამას ვერასოდეს ვერ მისწვდებოდა, ვინაიდან მისი ასპარეზი ვიწროთ იყო შემოზღუდული; თან კიდევ ათას მავნე ადათებს ემონებოდა. რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს სისხლის აღებას! მტერი შეისწავლიდა მოპირდაპირის სავალ გზას და ჩაუსაფრდებოდა. ამას „ჩასტალს" უწოდებდნენ. ხშირად ეს ჩასაფრება მთელი თვეობით გრძელდებოდა, ვიდრე არ გამოივლიდა ის, ვისაც ელოდნენ. ჩასტალში საგზლით მიდიოდნენ.

ამჟამად კი სოციალისტურმა შრომამ ურთიერთს დააკავშირა, დააძმობილა არა მარტო ერთი კუთხისა და ერთი ტომის ხალხი, არამედ საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერი.

— როგორ იმოგზაურე, დურსუნ, უკრაინაში? — შეეკითხა დურსუნს ამხ. ვანო დვალი (დურსუნ ნიჟარაძე საქართველოს დელეგაციის წევრი იყო).

— ახლა რომ ვინმემ ორი მილიონი მომცეს და მითხრას — ხელი აიღე იმ სიხარულზე, რომელიც უკრაინაში განიცადეო, ვეტყოდი — არა, ძმავ, ორი მილიონი შენ გქონდეს, მე ის ათასწილად მირჩევნია, რაც იქ მივიღე-მეთქი. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, რაც ჩვენ იქ პატივი გვცეს. უნდა გენახათ, რა აღტაცებით გავიძახოდი ჩემი დამტვრეული რუსულით: ხაი ჟივე უკრაინსკი ნაროდ! ხაი ჟივე გრუზინსკი ნაროდ!.. ლვოვში რომ ვიყავით, იქ ჩვენმა კახელმა ამხანაგმა სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრეთ ვენახის ნერგების გაგზავნა აღუთქვა. მე კი გულში ვამბობდი: ჩემს კოლმეურნეობაში ერთ მანდარინს არავის გავარჩევიებ, თქვენც ბლომად გამოგიგზავნით-მეთქი...

მოწინავენი მოწინავეთა შორის

ასე წარმტაცად აყვავებულია დღეს ქობულეთის რაიონი, მაგრამ არიან კიდევ უფრო მოწინავენი.

ყველაზე თვალსაჩინო და საამაყო საბჭოთა წყობილების პირმშოთა შორის — ეს არის ოჩ-

(დასასრული, იხ. მე-4 გვ.)

ქობულეთის რაიონის მოწინავენი (ზევიდან ქვევით): ხ. კაკაბაძე სოფ. დაგვის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავი), ა. მახარაძე (სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი), ი. თოხაძე (ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), ხ. შარაშიძე (სოფ. ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი), თ. თხილაიშვილი (ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი), ა. გოგიტიძე მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი), მ. სიდოროპულო (სოფ.. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

შინაპოლიტიკური ბრძოლა სამხრეთ-აფრიკის კავშირში

ლონდონი, 8 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ოპოზიციის ლიდერმა დოქტორმა მალანმა სამხრეთ-აფრიკის კავშირის დეპუტატთა პალატის სხდომაზე შეიტანა რეზოლუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებს სმეტსის მთავრობას. რეზოლუცია უარყოფილ იქნა 78 ხმით 59 ხმის წინააღმდეგ. ამავე სხდომაზე შეტანილ იქნა წინადადება მოწონებულ იქნას სამხრეთ-აფრიკის კავშირის მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. წინადადება მიღებულ იქნა 76 ხმის უმრავლესობით 59 ხმის წინააღმდეგ.

სამხრეთ-აფრიკის კავშირის პარლამენტში ოპოზიციის ლიდერი დოქტორი მალანი მეთაურობს ნაციონალისტთა პარტიას, რომელიც ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ სამხრეთ-აფრიკის კავშირი ომში იღებს მონაწილეობას. 1939 წლის დამლევს მალანმა მოითხოვა სამხრეთ-აფრიკის კავშირის გამოსვლა ბრიტანეთის იმპერიიდან. გასული წლის იანვრის დამლევს მალანმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მხარი დაუჭირა ინგლისისაგან დამოუკიდებელი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის შექმნას.

ა. შ. შტატების ყოფილი გერმანელი ელჩის დოდის დღიური

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი (საკდესი). ამას წინათ მთელმა რიგმა გაზეთებმა და ჟურნალებმა გამოაქვეყნეს ამონაწერები წიგნიდან „ელჩ დოდის დღიური", რომელიც უახლოეს დროში გამოვა. ავტორი, რომელიც გასულ წელს გარდაიცვალა, ისტორიკოსი იყო. 1933-დან 1938 წლამდე იგი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად იყო გერმანიაში.

თავის დღიურში დოდი გულახდილად აღწერს თავის შთაბეჭდილებებს იმ ამბების გამო, რაც იმ დროს მოხდა, როდესაც იგი დიპლომატის პოსტზე იმყოფებოდა ბერლინში. იგი ამჟღავნებს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეების ფარულ ანტისაბჭოთა საქმიანობას, მათ შორის ბულიტის საქმიანობასაც. დოდი აღნიშნავს, რომ მას განსაკუთრებით აკვირვებდა და აცვიფრებდა განცხადებანი და მოქმედება ბულიტისა, რომელიც 1935 წლის ნოემბერში მოსკოვიდან ბერლინს ჩავიდა. დოდი სწერს: „ბულიტის მიერ რუსეთის შესახებ გაკეთებული შენიშვნები ეწინააღმდეგებოდა იმ პოზიციას, რომელიც მას გასულ წელს ეკავა". დოდის სიტყვით, ბულიტი „როგორც ჩანს, ეწონებოდა განუსაზღვრელ აგრესიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიც". დოდი სწერს, რომ მას აკვირვებდა პასუხისმგებელი დიპლომატის ასეთი განცხადებანი. დოდი იძლევა კითხვას — რისთვის დანიშნეს ასეთი ელჩი მოსკოვში?

ბულიტის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ამბავი დოდმა დეპეშით აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს. 1936 წლის 12 თებერვალს მოსკოვს მიმავალი ბულიტი კვლავ ჩამოვიდა ბერლინს, სადაც ხელახლა სასტიკად გაილაშქრა სსრ კავშირთან თანამშრომლობის წინააღმდეგ, კერძოდ, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების წინააღმდეგ, და ცდილობდა შეექმნა კავშირი საფრანგეთსა და გერმანიას შორის. მეტად არაჩვეულებრივად გვეჩვენებოდა, შენიშნავს დოდი, რომ ამერიკის ელჩი რუსეთში რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებას ფუშავს.

თავის დღიურში დოდს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ააშკარავებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწის ცდას პროვოკაციულად გამოეწვიათ გერმანია-საბჭოთა კავშირის შეტაკება. დოდი იუწყება, რომ 1935 წლის 6 მაისს მან, ლორდ ლოტიანისაგან (შემდეგში ინგლისის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში) მიიღო წერილი, რომელშიც ლოტიანი ნათლად აღნიშნავდა, რომ იგი მომხრეა იმისა, რომ დემოკრატიული ქვეყნების კოალიციამ გერმანიის ზრახვები აღმოსავლეთის მიმართულებით შეაბრუნოს. ლოტიანს სერიოზულად არ აშინებდა ის ფაქტი, რომ ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ომი რუსეთსა და გერმანიას შორის. იგი ფიქრობდა, რომ ეს კარგი იქნებოდა გერმანიის წინაშე მდგომი სიძნელეების გადასაწყვეტად.

ფილმის „ლენინი 1918 წელს" საზოგადოებრივი გასინჯვა სოფიაში

სოფია, 9 თებერვალი (საკდესი). დღეს კინოთეატრში შესდგა ფილმის „ლენინი 1918 წელს" საზოგადოებრივი გასინჯვა. გასინჯვას დაესწრო ათასამდე კაცი, მათ შორის პრემიერი ფილოვი, ფინანსთა მინისტრი ბოჟილოვი, სამხედრო მინისტრი დასკალოვი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ზაგოროვი, მეფის კანცელარიის უფროსი გრუევი და მეფის ამალის სხვა წევრები, სახალხო კრების თავმჯდომარე ლოგოფეტოვი, დეპუტატები და დიპლომატიური კორპუსის წევრები, ბულგარეთ - საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა წარმომადგენლები ბულგარეთში, მეცნიერები, ხელოვნების, ლიტერატურისა და სხვ. წარმომადგენლები. ფილმმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ქობულეთის ბაღნარებში
(დასასრული)

ხამურის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ღირსეულად ატარებს დიდი სტალინის სახელს.

აი გორაკზე დგეხართ და გასცქერით ლამაზ ხეივნებით დარკალულ ჩაის პლანტაციებს, დავაჟკაცებულ ციტრუსებს, ევკალიპტებით შემორგულ ნაპირებს. თვალი ვერ სწვდება ამ მშვენიერ ნახელოვნებს, — იგი 1.260 ჰექტარზეა გაშლილი.

თერთმეტი წლის წინათ კი აქ მხოლოდ გვიმრა, ტყე და გაუვალი ჭაობი იყო!

შარშან მეურნეობამ 1.958 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო, ხოლო წელს, მეურნეობის დირექტორის — ამხ. ვლადიმერ ვეკუას სიტყვით, მთელი კოლექტივი ემზადება, რომ სახელმწიფოს ორი მილიონი კილოგრამი ჩააბაროს.

რა საამაყოა, რომ იმ უკაცურ ადგილზე გაშენებული მეურნეობის კოლექტივს, სადაც წინათ არავის აზრადაც არ მოსდიოდა რაიმე კულტურის განვითარება, 1938 წლიდან პირველი ადგილი უჭირავს ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის და ხელთ უპყრია რესპუბლიკური და რაიონული გარდამავალი დროშა!

აშენებულია და კვლავ შენდება მუშა-მოსამსახურეთათვის კულტურულად მოწყობილი ორსართულიანი კაპიტალური სახლები. აქ არის 2 დაწყებითი სკოლა, 1 სრული საშუალო, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, 3 საბავშვო ბაგა, 2 საბავშვო ბაღი, კლუბი...

აქვეა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ჩაის ფაბრიკა, რომელმაც უკვე დაიმსახურა მოწინავის საპატიო სახელი.

ოჩხამურს მრავალი სახელოვანი ადამიანი ჰყავს: უფროსი აგრონომი, ორგზის მედალოსანი ივ. ფუტურიძე, დირექტორის მოადგილე გიორგი ხარატიშვილი, ყოფილი შოფერი, რომელიც თავიდანვე აქ მუშაობს; მოსავლიანობის ზრდის ოსტატი — ვალ. არველაძე, ბრიგადირი შალვა ბაღდავაძე, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მიერ პატარა ვერცხლის მედლით დაჯილდოებული, ბ. ბურჭულაძე და... რამდენი უნდა დავასახელო? განა ეს უზარმაზარი მეურნეობა ისე აყვავდებოდა, რომ მას მრავლად არ ჰყავდეს სოციალისტური შრომის გმირები?

ოჩხამურში ახლა რკინიგზის სადგურია. ამ სადგურიდან რომ გახედავთ, ქობულეთის აგარაკების გასწვრივ, ზღვამდე, ისეთი ჭაობი იდგა, რომ კაცი შიგ შესვლას ვერ გაბედავდა. ახლა ეს ვრცელი ფართობი თითქმის მთლად ამომშრალია და ევკალიპტი და ბამბუკია დარგული, ალაგ-ალაგ ციტრუსებიც შენდება.

ასე ჯანსაღდება და მშვენიერდება ეს საკავშირო მნიშვნელობის კურორტი.

მინდოდა განსაკუთრებით აღმენიშნა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის უდიდესი მიღწევები ამ ოცი წლის მანძილზე, მაგრამ მეტისმეტად გამიგრძელდა და ახლა ისღა მრჩება, გაკვრით მოვიხსენიო ამ მეურნეობის დირექტორის, ჩაქვის დიდი პატრიოტის ამხ. ივანე თოხაძისა და იმ მრავალი სახელოვანი ადამიანების თავდადებული მუშაობა, რომელთაც ჩაქვი ისეთ სიმაღლეზე აიყვანეს, როგორიც ჩვენს შემოქმედ ეპოქას შეეფერება.

მარტოოდენ ეს ციფრი რად ღირს: 1921 წელს საშუალოდ ჰექტარზე აქ მოსავალი უდრიდა 489 კილოგრამს, ხოლო ახლა — 3.814 კილოგრამს. შარშან მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 2 მილიონი 60 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი და თერთმეტ მილიონ ნახევარი ციტრუსი.

○

დაიძრა მატარებელი.

აჭარის მთები, გორაკები, ბორცვები და მთელი დაბლობი თოვლითაა დაბურული. ჩაის ბუჩქებს თითქო თეთრი მანდილით შეუხვევიათ თავი, ხოლო პალმებს, კვიპაროსებს, ციტრუსებს ზღვიდან მონაბერი ქარი არხევს და ირგვლივ შუქად შლილი ფიფქი იფრქვევა. მაგრამ ამაოდ იმუქრება ეს სუსხიანი ამინდი: ყოველ უბანს, ყოველ ბაღს, ყოველ ორანჟერიას სოციალისტურ შრომაში გამობრძმედილი ვაჟკაცების ფხიზელი თვალი დაჰყურებს. მათ ვერ შეაკრთობს ბუნების სისასტიკე. სტალინის გენიის მზე დაჰნათის ახალ აჭარას, საბჭოთა ადამიანების მიერ აყვავებულს, უჭკნობ წალკოტად ქცეულს.

ომი ევროპასა და აფრიკაში
(საომარი მოქმედების დღიური, 8 თებერვალი).

იტალიის სარდლობა 8 თებერვლის ცნობაში ადასტურებს, რომ ინგლისელთა ჯარმა ხელთ იგდო ბენგაზი.

ბენგაზის ხელში ჩაგდების შემდეგ აღნიშნავს რეიტერის სააგენტო, ინგლისელთა ხელშია მთელი კირენაიკა, გარდა რამდენიმე იზოლირებული საგუშაგოსი ბენგაზის სამხრეთით 2 თვის განმავლობაში იმ მომენტიდან მოკიდებული, როდესაც ინგლისელთა ჯარმა სიდი-ბარანიდან შეტევა დაიწყო ინგლისის ახლო აღმოსავლეთის არმიამ 640 კილომეტრით წაიწია სიდი-ბარანიდან და 960 კილომეტრით ალექსანდრიიდან. კამპანიის დახასიათებისას სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ კამპანიაში ძირითადი როლი შეასრულეს ინგლისელთა ჯარის ჯავშანსატანკო ნაწილებმა. ინგლისელთა ჯარი უტევდა არა მარტო სანაპიროთი, არამედ შიდა საქარავნო გზებითაც.

აღმოსავლეთ აფრიკაში აქტიური სამხარი მოქმედება სწარმოებს კერენის ზონაში. იტალიის სარდლობის ცნობაში აღნიშნულია, რომ ამ რაიონში გაცხოველებული საარტილერიო სროლა სწარმოებს.

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ ინგლისელები გარს შემოერტყნენ 10 ათას იტალიელს, რომლებიც ბარენტუდან ასმარისაკენ იხევენ.

7 თებერვალს განსაკუთრებით გაცხოველებული საომარი მოქმედება იყო ფრონტის სამხრეთ უბანზე, აბისინიისა და კენიის საზღვარზე აბისინიისა და კენიის საზღვრიდან 30 კილომეტრზე მდებარე ელ-გუმის ფორტის დაკავების შემდეგ, ინგლისელთა ჯარი დაიძრა გორაისაკენ, რომელიც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიკავა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ავიაციის მოქმედება 7 თებერვალს შეზღუდული ხასიათისა იყო. ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ კერენს, ერგეისუსა და ჯებელს.

ხმელთაშუა ზღვის რაიონში შესამჩნევად გაძლიერდა ავიაციის მოქმედება. გერმანიის ყუმბარმშენებმა, ნათქვამია გერმანიის ცნობაში, იერიში მიიტანეს მალტის კუნძულის აეროდრომებზე, ჰიდრო-ავიაბაზებსა და სანავსადგურო ნაგებობებზე.

ალბანეთში იტალიელთა ჯარმა ბერძენთა იერიში მოიგერია ფრონტის სამხრეთ უბანზე.

7 თებერვალს საბერძნეთის შორსმსროლელმა ქვემეხებმა პირველად დაუშინეს ვალონას. ტეპელენი, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, უკვე მესამე დღეა იწვის. კლისურის ჩრდილოეთით, ბერძნებმა მოიგერიეს იტალიის მოტომექანიზებული ნაწილების იერიში და რამდენადმე წინ წაიწია.

ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე საბერძნეთის არტილერიამ დაანგრია იტალიელთა ჯარის კომუნიკაციები. ბერძნული გაზეთი „პროია" იუწყება, რომ ბერძენთა ჯარმა დაიკავა მთელი ტრებეშინის მთაგრეხილი.

გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს ინგლისში. ბომბარდირებულია ვაგზალი და საფაბრიკო - საქარხნო ნაგებობანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში.

8 თებერვალი (საკდესი).

ციტრუსოვანთა ნაყოფის შესაფუთი ქარხანა ჩაქვში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ავეტიკ ისააკიანის ლიტერატურულ-მხატვრული საღამო

ხალხთა სტალინური მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად გადაიქცა სომხეთის დიდი პოეტის ავეტიკ ისააკიანის დაბადების 65 წლისთავისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი მხატვრულ-ლიტერატურული საღამო, რომელიც გუშინ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მოაწყო მწერალთა კლუბში.

დიდძალი საზოგადოება დაესწრო ამ საღამოს. მწერალთა კლუბის დარბაზი ვერ იტევდა დამსწრეთ. საღამოს ესწრებოდა თვით იუბილარი, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ირ. აბაშიძემ.

ვრცელი მოხსენება ავეტიკ ისააკიანის შემოქმედების შესახებ გააკეთა კრიტიკოსმა ა. კარინიანმა. იგი ვრცლად შეეხო მგოსნის დამსახურებას მშობლიური ხალხისა და ლიტერატურის წინაშე.

— ავეტიკ ისააკიანი სომეხი ხალხის გულის მესაიდუმლე და მომღერალია— სთქვა მან. მის შემოქმედებაში ასახულია ხალხის ტანჯვა წარსულში, მისი მზიური აწმყო და კიდევ უფრო ნათელი მომავალი. ის ბედნიერია მით, რომ მოესწრო თავისი ხალხის აღორძინებას, თავისი სამშობლოს აყვავებას ხალხთა სტალინური მეგობრობის ოჯახში. ა. ისააკიანი ახლა მთელი თავისი დიდი პოეტური ხმით უმღერის ჩვენს დიდებულ სოციალისტურ სამშობლოს და მის გენიალურ მესაჭეს დიდ სტალინს. ოქტომბრის ცხოველმყოფელი რევოლუციის დროშის ქვეშ ა. ისააკიანის შემოქმედება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. იგი მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია.

მისასალმებელი სიტყვით იუბილარს მიმართა შალვა დადიანმა.

კრიტიკოსმა ბეს. ჟღენტმა მოიგონა ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის ტრადიციები. ორი მოძმე ხალხის მისწრაფებებმა ხორცი შეისხეს დიდი სტალინის ეპოქაში. მოძმე ხალხთა მეგობრობა განსაკუთრებით განმტკიცდა ამიერ-კავკასიაში საუკეთესო სტალინელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით. ა. ისააკიანი დიდი პოეტური გზნებით უმღერის ოქტომბრის რევოლუციის ამ დიდ მონაპოვარს.

კრიტიკოსმა ს. არუტიუნიანმა ვრცლად დაახასიათა ა. ისააკიანი როგორც პოეტი და დიდებულოვანი ადამიანი.

პოეტებმა გიორგი ლეონიძემ და სიმონ ჩიქოვანმა ილაპარაკეს ა. ისააკიანის პოეზიის ხალხურობის შესახებ.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში პოეტებმა ა. მაშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, რ. გვეტაძემ და ს. ეულმა წაიკითხეს ავეტიკ ისააკიანის ლექსების საკუთარი თარგმანები.

ავ. ისააკიანისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები ი. გრიშაშვილი, ს. აჯიანი, გ. გრიგი, რ. აგბაბი და პაარა.

დასასრულ მადლობიარე სიტყვით დამსწრეთ მიმართა მხცოვანმა პოეტმა ავ. ისააკიანმა, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა საქართველოს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას.

იუბილარის სიტყვა გამსჭვალული იყო სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობით დიადი კომუნისტური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

სრულიად-საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი
პირველი ტური

9 თებერვალს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო - საშაშო კლუბში შესდგა ჩემპიონატის მონაწილეთა პირველი შეხვედრა. პირველი ტურიდანვე ბრძოლამ დაძაბული ხასიათი მიიღო. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ამ დღის გათამაშებული 9 პარტიიდან დამთავრდა მხოლოდ სამი.

მაესტრო ვ. მაკოგონოვმა, რომელმაც ძველ ინდიურ პარტიაში თეთრებით თავიდანვე უპირატესობა მიიღო, განვითარა ძლიერი იერიში მოწინააღმდეგის მეფეზე და აიძულა გამრეკელი დანებებულიყო.

ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ფალავანდიშვილი—გოგლიძის პარტია. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ტარსაიძე—მირზაევის პარტიაც.

მაესტრო კასპარიანმა ლებედევის წინააღმდეგ დაუდევრად გაითამაშა დებიუტი და დარჩა უპაიკოდ. ლებედევმა გამოამჟღავნა მაღალი ტექნიკა და გადადებულ მდგომარეობაში გამარჯვება მისთვის უზრუნველყოფილია.

გადაიდო აგრეთვე პარტიები: სოროკინი—ებრალიძე (ებრალიძისათვის მოგებულ მდგომარეობაში), შიშოვი—ფირცხალავა (ფირცხალავას უპირატესობით), ხოტელაშვილი—გაჩეჩილაძე (ხოტელაშვილის უპირატესობით), ნერსესოვი — თომაშვილი (თანაბარ მდგომარეობაში) და ვეიზერი—მედვედევი (გამოურკვეველ მდგომარეობაში).

ცინცაძე—მიქენასის პარტია არ გათამაშებულა.

მეორე ტური

გუშინ შესდგა ჩემპიონატის მეორე ტური, რომელიც აღინიშნა მაესტრო ვ. მაკოგონოვის დამარცხებით ახალგაზრდა მოჭადრაკე მედვედევთან. შუა თამაშში მედვედევმა შესწირა პაიკი, რის შედეგადაც მიიღო იერიშის შესაძლებლობა. მაკოგონოვმა ზუსტი დაცვით მოიგერია ეს იერიში და პარტია გადავიდა თანაბარ ენდშპილში. მაკოგონოვმა მოულოდნელად წააგო ეტლი, რის შემდეგ დანებდა მოწინააღმდეგეს.

მაესტრო გოგლიძემ ლაზიერის გამბიტში ხოტელაშვილს მალე მოუგო პაიკი და შემდეგ პარტიაც.

მაესტრო კასპარიანმა შიშოვის წინააღმდეგ კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის სუსტი თამაში და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

ფირცხალავამ შავებით მოუგო გაჩეჩილაძეს, მირზაევმა ნერსესოვს, სოროკინმა თომაშვილს, ტარსაიძემ გამრეკელს, ხოლო ცინცაძე—ფალავანდიშვილის პარტია გადადებულია მეორესათვის უკეთეს მდგომარეობაში. მიქენას—ებრალიძის და ლებედევი—ვეიზერის პარტიები არ გათამაშებულა.

დღის თამაშობი: ფალავანდიშვილი—მიქენასი, ხოტელაშვილი — ცინცაძე, ფირცხალავა — გოგლიძე, კასპარიანი — გაჩეჩილაძე, ვეიზერი — შიშოვი, მაკოგონოვი — ლებედევი, ტარსაიძე — მედვედევი, ნერსისოვი — გამრეკელი, სოროკინი — მირზაევი და ებრალიძე — თომაშვილი.

შ. ცინცაძე

ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესდგა თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ათი წლისთავისა და საქართველოში უმაღლესი სატრანსპორტო განათლების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამავე ინსტიტუტის საორთქმავლო ფაკულტეტის დეკანმა პროფ. მაისუროვმა.

საზეიმო სხდომამ საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ოვაციით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები ტიმოშენკო, დიმიტროვი, ჩარკვიანი და ბაქრაძე.

სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის უფროსი ამხ. შ. ქიქინაძე, რომელმაც ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რაც ინსტიტუტმა მოიპოვა რკინიგზის ტრანსპორტის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.

საზეიმო სხდომას მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ - მასწავლებელთა სახელით პროფ. არ. ხარაძემ, თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივის სახელით ამხ. ა. ბოჟკომ, ამავე ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით პროფ. ა. დიდებულიძემ, ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფრიადოსან სტუდენტთა სახელით ამხ. ჭანტურიამ.

შემდეგ წაკითხული იქნა ტექსტი იმ დეპეშებისა, რომლებიც ინსტიტუტმა მიიღო რკინიგზის ტრანსპორტის სახ. კომისარიატის სასწავლო განყოფილების უფროსის ამხ. ეურაველოვისაგან, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კაფტანოვისაგან, ლენინგრადის, მოსკოვის, დნეპროპეტროვსკის, ომსკის, ტაშკენტის და როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტებისაგან.

მისალმების დეპეშები გაეგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს, საბჭოთა მძლავრი მთავრობის სახელოვან მეთაურს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს, რკინიგზის ტრანსპორტის სტალინურ სახალხო კომისარს ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან მეთაურს ამხანაგ ლ. პ. ბერიას და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს.

დასასრულ წაკითხულ იქნა ინსტიტუტის უფროსის ამხ. ქიქინაძის ბრძანება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ძვირფასი საჩუქრებით დაჯილდოების შესახებ.

სხდომის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

12 თებერვალს, საღამოს 7½ საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო-პედაგოგიური სექციის საჯარო სხდომაზე (კეცხოველის 11) მოხსენებას წაიკითხავს პროფ. გ. ჩ. **გეხტმანი** თემაზე:—**„საბჭოთა საქართველო 20 წლისთავზე (ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა)".**

დასწრება თავისუფალია.

ლიტერატურის ინსტიტუტის შრომები

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მიმდინარე წელს დასაბეჭდად ამზადებს საყურადღებო ლიტერატურული ძეგლების რამდენიმე ტომს.

უკვე დამზადებულია დასაბეჭდად თავისი გამოკვლევით, კომენტარიებით, ლექსიკონით და სხვ. 5 შრომა: „სპეკალი"—მე-18 საუკ. ფილოსოფიური ნაშრომი, „ვეფხის-ტყაოსნის" ჩანართი და დანართი სტროფები, გარდამავალი ხანის (18-19 ს.) ლირიკის ნიმუშები, „ცხოვრება საბასი" (პალესტინაში ქართული ლიტერატურული ცენტრის დამაარსებელი) და ქართული ზღაპრების III ტ.

გარდა ამ წიგნებისა, ინსტიტუტი დასაბეჭდად ამზადებს კვლევა-ძიებითი სტატიების ერთ კრებულს.

წელსვე დამზადდება გამოსაცემად ინსტიტუტის „შრომების" სამი ნომერი.

მწერალთა კავშირში

11 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება დამწყებ დრამატურგთა წრის მორიგი მეცადინეობა. ამხ. **ალ. კოკაია** წაიკითხავს თავის პიესას **„პირველი პიონერი".**

წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

რადიოგადაცემა დღეს

9.00—გაზეთ „პრავდის" მოწინავე; 9.15—გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 10.00—სტატიები გაზეთებიდან; 10.30—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე: „როგორ ასრულებენ თბილისის მოსწავლეები XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოცშეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს". 11.30—თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 12.00—კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 14.15—აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტი; 17.00—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის (სიმფონიური კონცერტი); 17.45 — საუბარი ქართულ ენაზე „ვემზადოთ (ა. გაზაფხულო თესვისათვის"; 18.00—კონცერტი, 19.20—კონცერტი (ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან); 20.40—ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი; 21.15—ტრანსლაცია თბილისის ორთქლმავალთა დეპოდან; 22.05—კონცერტი; 23.10—საესტრადო მუსიკის კონცერტი; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (ტრანსლაცია მოსკოვიდან).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

11 თებერვალს, სად. 9 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება მომხსენებელთათვის ამხ. **თავხელიძის** საინსტრუქციო მოხსენება ქართულ ენაზე. თემა: **„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი".**

12 თებერვალს, სად. 8 ს. 30 წ., ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება მორიგი ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან რუსულ ენაზე. თემა: **„ბოლშევიკური პარტიის თეორია და ტაქტიკა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში".**

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სანკულტურის ქართული თეატრი — „სინანული", **გრიბოედოვის სახელობის** — „კრემლის კურანტები".

კინოებში: რუსთაველის სახ.—„სუვოროვი", **დღისით** — „მშვენიერი ვასილისა", **ოქტომბერი**—„მაკარ ნეჩაი", **კომკავშირელი**—„წმინდა იორგენის დღესასწაული", **დამკვრელი** — „სუვოროვი", **დღისით**—„ტომ სოიერი", **ლუქსემბურგის სახ.**—„მაკარ ნეჩაი", **სპარტაკი**—„კატერინა", **ბერიას სახელობის კულტურის სახლი**—„თეიმური და მისი რაზმი", **კომინტერნი**—„გამანადგურებლები", **განთიადი**—„ორიოლის" დაღუპვა", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი**—„გატეხილი ყამირი", **წითელი არმიის სახლი**—„მუსიკალური ისტორია", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

11 თებერვალს **ღალატი**
12 თებერვალს მე-2 აბ. მე-7 წარმ. **ოტელო**
13 თებერვალს **უდანაშაულო დამნაშავენი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

11 თებერვალს **მარგარიტა გოტიე**
12 თებერვალს **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

დასაწყისი სად. 8 ს. და 30 წ.

სსსრ ლითონმრეწვკავშირის პრეზიდიუმის დასკვნითი ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან. კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	93989—29
2	მცირეფასიანი და სწრაფსაცვ. ინვენტარი	11499—01
3	ფულადი საშუალებანი	82042—34
4	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	139325—60
5	განყენებული საშუალებანი	139358—49
	ბ ა ლ ა ნ ს ი.	466214—73

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა მან. კაპ.
1	ფ ო ნ დ ე ბ ი	249532—94
2	ანგარიშსწორება	122767—36
3	საანგარ. წლის მოგება.	93914—43
	ბ ა ლ ა ნ ს ი	466214—73

მოგებისა და ზარალის ანგარიში

№№ რიგ.	ხარჯები და ზარალი	თანხა მან. კაპ
1	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	259953—86
	ს უ ლ	259953—86
2	მოგება	93914—43
	ბ ა ლ ა ნ ს ი	353868—29

№№ რიგ.	შემოსავალი და საერთო მოგება	თანხა მან. კაპ.
1	შემოსავალი ქვემდგომი რგოლიდან	349991—89
2	სხვადასხვა შემოსავალი	3876—40
	ს უ ლ	353868—29
	ბ ა ლ ა ნ ს ი	353868—29

საქ. ლითონმრეწვ კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. გოგინაშვილი,** მთ. ბუხჰალტერი **მ. კახაია.**
ბალანსი დამტკიცებულია სარევიზიო საბჭოს საბალანსო კომისიის მიერ. 1128

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 6 მარტს, საღამოს 8 საათზე, (მარის ქ. № 1) აუდ. № 86 ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **სიმონ მიხეილის-ძე ჩიქოვანი**?

სიმონ მიხეილის-ძე ვაჩნაძე დაიცავს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„О произношении М. Ю. Лермонтова"**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნ. აკად. წევრ-კორესპ. პროფესორი **გ. ახვლედიანი,** ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი დოცენტი **დ. ს. მგელაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი **დ. ქიფშიძე**

სერგო, კონსტანტინე, პაშა, ოლღა, დავით ერისთავები, და იულია შვილებით, მარინა, შოთა გორდეზიანები იუწყებიან ძმის, ძაზლისა და ბიძის
კლიმენტი დავითის-ძე ერისთავის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7½ ს. 10706

ჭრელაშვილი, ჯაფარიძე, ნადარეიშვილი, დავითაშვილი, აბრამიშვილი, შელია, გიორგობიანი, ბერშაცკაია, ნაცვლიშვილი, ამბოკაძე, ციციშვილი, ბარნაბიშვილი, ბაცანაძე, გეგელი, გვარამაძე, მელიქაძე იუწყებიან
ნადია მირიანაშვილის
გარდაცვალებას.

ბებია გაიანე, ეენია, შურა, შალვა, რომან, იორამ, გივი მამალაძეები აბესალომ, ქეთო თავბერიძეები, ლადო, მარგო მელაძეები, კოტე, ანიკო ჯულელები იუწყებიან
ლალი ბუკიას
გარდაცვალებას. 10702

მშობლები იტო, თედო, დოლენჯაშვილები, დიდედა დარო მინდორაშვილი, მამიდები ოლია, ტამარ ქმარშვილით, თაფლო, ვასო ჩიტოშვილები იუწყებიან
ილია თედორეს-ძე დოლენჯიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/II ს. კარდანახში. 10698

დიდა მაშო, მეუღლე ქეთო, შვილები ცირა, თაზიკო იუწყებიან
გიორგი ივანეს-ძე დარჩიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/II 8 ს. გამოსვენება 12/II 5½ ს. კლარა ცეტკინის, 86, კუკიის სასაფლაოზე. 10691

თბილისის მე-35 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის
შალვა ვარლამის-ძე საგინაძის
გარდაცვალებას.

პროფესორები პ. სარაჯიშვილი, ვ. ანდღულაძე, გ. ნაზარიშვილი, ი. სიხარულიძე, დ. თევზაძე, ბ. ოქრომჭედლიძე?

პროფესორები პ. სარაჯიშვილი, ვ. ანდღულაძე, გ. ნაზარიშვილი, ი. სიხარულიძე, დ. თევზაძე, ბ. ოქროპირიძე იუწყებიან პროფესორ
ლავრენტი ფირცხალავას
გარდაცვალებას. 10689

მეუღლე კოლია გაბელაია იუწყება
ნელი აკაკის-ასულ მისაბიშვილი-გაბელაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12/II 8 ს. გამოსვენება 13/II 6 ს. ლენინგრადის, 7. კუკიის სასაფლაოზე. 10690

ცოლი პისტი, შვილები ვალოდია, თამარ, აჩიკო, ჭაჭული, რძლები რიმა, აგრაფინა, სიძე ვლადიმერ გურგენიძე იუწყებიან
კლიმენტი დავითის-ძე ერისთავის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12/II 7½ ს. გამოსვენება 13/II 5½ ს. პლეხანოვის, 174, კუკიის სასაფლაოზე. 10693

ირა მდივანი, თინა ჯაფარიძე, იონა ტუსკია და მანუილ აფხაიძე იუწყებიან
ალექსანდრა გიორგის-ასულ ალექსი-მესხიშვილის
გარდაცვალებას.

დედა მარიამ, შვილი გივიკო, ძმები ვლასი, სპირიდონ, გოგლა, დები თამარ, ანგელინა, ნინო, რძალი ლილი კაშიები იუწყებიან
ქსენია კონსტანტინეს-ასულ კაშიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/II ს. ბაშში. 10701

ცოლი მარიამ, შვილები ლენა, ვერა, შალიკო იუწყებიან
ივანე ილარიონის-ძე შუაქრიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/II 6 ს. ახალი არსენალის, 10, კუკიის სასაფლაოზე. 10703

იაკობ ნიკოლაძის, სოფიო გოთუას და ანეტა ქვანის ოჯახები იუწყებიან
ილია მათეს-ძე ნიკოლაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/II 6 ს. გრიბოედოვის, 18. 10708

დები ლიდა, შურა, ძმები ოლიფანტე, ვარლამ გაბელაიები, სიძეები გენადი ლაბაძე, პლატონ ბესელია იუწყებიან
ნელი მისაბიშვილი-გაბელაიას
გარდაცვალებას. 10711

ოჯახი და უახლოესი ნათესავები იუწყებიან
შალვა ვარლამის-ძე საგინაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/II 6½ ს. ვაკის სასაფლაოს პავილიონიდან. 10692

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრის და ინსტიტუტთან არსებული მეხილეობის საცდელი სადგურის თანამშრომლები იუწყებიან
მარიამ მიხეილის-ასულ კეცხოველის
გარდაცვალებას. 10695

მეუღლე ელისაბედ, შვილები ალექსანდრე, ვალოდია, ტოგო, რძლები ნინო, მარუსია, შვილიშვილები გურამ, ეთერ, თინა, ლელი, მამია იუწყებიან
ლევანტი დავითის-ძე ლომთათიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. მეჯვრისხევში 11/II. 10697

შვილი ნინო, სიძე მიშა, შვილიშვილები ავთანდილ, ლიკა პელიძეები იუწყებიან
მიხეილ დავითის-ძე ჯიბლაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქობულეთში 12/II. 10704

ქმარი გიორგი ჯინჭველაშვილი შვილებით, სიძე ვასო დონაძე ცოლით, და მატრონა სვანაძე იუწყებიან
ვარინკა კირილეს-ასულ ჯინჭველაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/II ს. საყულიაში (ქუთაისის რ.).

მეუღლე პაშა, შვილები ლილი, კოკი, ოთარ ქუთათელაძეები, სიძე ჟორა სანაძე ლიანათი, სიმონ გაბუნია ოჯახით იუწყებიან მასწავლებლის
ვლადიმერ სპირიდონის-ძე ქუთათელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა წულუკიძეში 13/II. 10682

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის 3—81—84; სასოფლო - სამეურნეოს— 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროს — 3—57—61; წერილების 3—71 24, 3.88 მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28. 1 უე 5975